# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 189 ოთხშაბათი, 26 აგვისტო 1909 წ. № 189

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და გ. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

25 აგვისტოდან ისევ გაიხსნა

## წიგნის მაღაზია „ალიონი"

ტფილისი, კიროჩნი ქუჩა, № 9, სახალხო სახლის პირდაპირ.

იყიდება ყოველგვარი წიგნები. მაღაზიას შეძენილი აქვს დიდ-ძალი **სკოლებში სახელმძღვანელო წიგნები, აგრეთვე სამოსწავლო ნივთები.**

ვკისრულობთ ქართულ წიგნებისაგან ბიბლიოთეკის შედგენას. ქართულ წიგნების **კატალოგი** მსურველთ უფასოთ გეგზავნებათ. **ვ. გადილია.**

ფოსტის ადრესი: Тмфлисъ, Кирочная ул. N 9, книжный магазинъ „АЛІОНИ" Василія Гадилія. (3—423—1)

**ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში**

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან· მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—50)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარცხვე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—33.—46)

**ექიმი ქ. ქუთაისში. მ. დ. გედევანოვი**

აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (75—33.—3)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ადრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—234)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების იღება. ოლგას ქუჩა, N 24. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი მ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 144,

**ექიმი მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე**

**დაბა ყვირილაში**

მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნახადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—4)

**ივ. გომელაურის მიერ** შედგენილი წიგნი **სკოლებში შესასწავლი**

## ქართველი მწერლები

წიგნი პირველი. მეოთხე გამოცემა.

იყიდება ტფილისში ქართ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. წიგნი **ყდით** ღირს 70 კ. მაღაზიებს დაეთმობა 20%. იქვე იყიდება „მოწაფის ჰიგიენა" ფასი 4 კაპ. (5—414—4)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ქ. ქუთაისში.**

**თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში**

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი **„გუთანი"**, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—6—13)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ი. ზ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**მ. დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

**ბ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—141)

**მცხეთის სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტრის სკოლის**

## საბჭო

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დაიწყება 1-ლ სექტემბრიდან. ჯესანახი ფასი პანსიონში, საბჭოს დადგენილებით, წელიწადში არის თორმეტი (120 მ.) თუმანი; ხოლო პირველს წელიწადს პირველი მოსამზადებელი—ორი თუმანი (20 მ.) უფასოდ არავინ არ იქმნება მიღებული არც პანსიონში და არც გარედან მოსიარულე. ვინც უკვე მიღებული იყო ნაკლებ ფასში, თუ არ შემოიტანს ზემო-აღნიშნულს ფასს, თორმეტ თუმანს, დათხოვნილი იქნება პანსიონიდან. გარედან მოსიარულე მოწაფე იხდის სწავლის ფასს წელიწადში 25 მან.

თავმჯდომ. საბჭოსი წინამძღვარი მონაზონი ნინო. (6—415—4)


## ტფილისი, 26 აგვისტო

გუშინ შესრულდა ორმოცდა-ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც რუსეთის მხედრობამ შეიპყრო კეთილ-შობილი მებრძოლი თავის ქვეყნის თავისუფლებისათვის, სახელ-განთქმული გმირი შამილი. ამის დატყვევებით და უკანასკნელ სიმაგრის, გუნიბის, აღებით რუსეთმა ძლივს გაათავა ხანგრძლივი და მეტად ძნელი ომი აღმოსავლეთ-კავკასიის მთებში და იქაც დაამკვიდრა თავისი ბატონობა. რა თქმა უნდა, მთელ კავკასიის ბედი გადაწყდა იმ ჟამს, როცა საქართველო შეუერთდა რუსეთს, როცა საქართველოში ფეხი მოიმაგრა რუსეთის მხედრობამ. ამ ისტორიულ ფაქტის შემდეგ ცხადი იყო, კავკასიის მთიულები ველარ დაიცავდნენ დამოუკიდებლობას და შამილის ცდა უკანასკნელი სულისკვეთება იყო თავგანწირულ მამულიშვილებისა,—უკანასკნელი ცდა, რომელიც უეჭველად დამარცხებით უნდა გათავებულიყო. დაღესტანიც შეურიგდა თავის ბედს, ხალხი დამშვიდდა და გულუბრყვილო ნდობით მიენდო გამარჯვებულთ...

გამარჯვებულებმა გუშინ იდღესასწაულეს აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობა და პატივი სცეს თავგანწირულ გმირთა ხსენებას. მაგრამ, ეს დღესასწაული მარტოოდენ მხედრობის დღესასწაულია. სხვაფრივ კი ნახევარმა საუკუნემ ფუჭად განვლო, არც ერთ მხარეს სარგებლობა არ მოუტანა. ჩვენ არა ერთხელ გვქონია ამის შესახებ ბაასი, არა ერთხელ აღგვინიშნავს, როგორ უნაყოფოდ ჩაიარა ასი წლის „მშვიდობიანმა" ცხოვრებამ, როგორ მოუწყობელია დღემდის ჩვენი ქვეყნის ცხოვრება, როგორ ამაოდ მოელის კავკასია მოქალაქობრივ რეფორმებს. ახლა კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთივე სიტყვა მოვისმინეთ იმ მხარედან, რომლიდან სრულებით მოსალოდნელი არ იყო. „გოლოს კავკაზა"-ს გუშინდელ №-ში მოთავსებულია წერილი, რომლის ავტორი სასოწარკვეთილის გრძნობით ამტკიცებს, რუსეთის მფლობელობამ არაფერი არ მოუტანა დაღესტანსაო, ვერც ნამდვილი მშვიდობა, ვერც ცოტაოდენი ადამიანური მოქალაქობრივი ცხოვრება ვერ მიანიჭა დაპყრობილს ხალხსაო. გავყვეთ ავტორს და ვნახოთ, რა ყოფაშია დღეს აღმოსავლეთ კავკასიის უდიდესი ნაწილი...

საკმარისია ვთქვათო, იწყებს ავტორი, რომ მთელს დაღესტანში დღემდის გზებიც კი არ გაგვიკეთებია და ორიოდე სახალხო სკოლის მეტი არ გაგვიხსნია; არა თუ არ გაგვიხსნია, არც კი გვიფიქრია ადგილობრივ მკვიდრთა საჭიროებასთან შეფარდებული სკოლა დაგვეარსებინა. მაგრამ გზებსა და სკოლებს თქვენი ჭირი წაუღიათ: შიდა რუსეთშიაც ბევრია მიყრუებული ადგილი, სადაც არც გზები ვარგა, არც სკოლები არსებობს.

საოცარი ისაა, რომ დაღესტანში დღემდისაც არსებობს ბატონ-ყმობა; ბეგებს დღესაც ბატონყმობის უფლებით ეკუთვნის ხალხის ბედი, მცხოვრებლებიანად ჰყიდის და აგირავებს სოფლებს. ბატონ-ყმობის მოსპობის დროს ეს ქვეყანა სრულებით დაივიწყეს და ნახევარ საუკუნის განმავლობაშიაც-კი ვერ მოიფიქრეს ამ საშინელ შეცდომის გასწორება!.. ამასთან შეკავშირებულია საადგილ-მამულო საკითხი, სამიწადმფლობელო ურთიერთობა. ამ მხრითაც 50 წლის განმავლობაში იქ არაფერი გაუკეთებია ჩვენს მთავრობას და ადგილობრივმა მცხოვრებმა აქამომდე არ იცის, რა უფლებითა და რა წესით ჰფლობს მიწას, რა დამოკიდებულებაა ხალხსა და მებატონეთა შორის. იმ თავითვე სამიწათმფლობელო საკითხის გარდასაწყვეტად მთელი მმართველობა შექმნა მთავრობამ, მაგრამ დღემდის არავინ იცის, რას აკეთებს ეს მმართველობა... არც სასამართლო რეფორმა ხვდა ამ ქვეყანას. იმპერატორის ალექსანდრე მეორის სასამართლო წესი და კანონი არსებობს მხოლოდ მოსულთათვის, მკვიდრისთვის-კი დღესაც მოქმედობს განუვითარებელი მამაპაპური სამართალი, რომელიც ველარ აკმაყოფილებს ადგილობრივ მკვიდრთ... რაც შეეხება საერთოდ ამ კუთხის მართვა-გამგეობის საქმეს, იქ ეს ნახევარი საუკუნეა სამხედრო წეს-წყობილება ჰსუფევს. ქვეყანა კარგა ხანია დამორჩილებულია, ხალხი დამშვიდებულია, მაგრამ სამხედრო წესებს დასასრული არ უჩანს. „რა აზრი აქვს ასეთ მართვა-გამგეობას? გვესმის, რომ სამხედრო წესები საჭირო იყო, სანამ ბრძოლა მხოლოდ ნახევრად იყო გათავებული, სანამ მოსალოდნელი იყო ხალხის აჯანყება. მაგრამ ახლა ხომ ქვეყანა სრულებით დამშვიდებულია და მოწადინებულია მოქალაქობრივ ცხოვრებას? როგორ-ღა შეიძლება 600 ათასიან მცხოვრებთა ქვეყნის მართვა სამხედრო წესებით, მათ მრავალ საჭიროებათა დაუკმაყოფილებლობა, მოქალაქობრივ ცხოვრების მოუწყობლობა?!.." დაღესტანი ამ ჟამად სამარეს უფრო ჰგავს, ვიდრე მშვიდობიან და კულტურულ ცხოვრებისათვის გამზადებულს ქვეყანას.

ასეთ ანდერძს უგებს „გოლოს კავკაზა" რუსეთის მფლობელობას დაღესტანში და ბოლოს სასოწარკვეთილებით ჰკითხულობს: ნუ თუ მეორე ნახევარი საუკუნეც ისე გაივლის, რომ შემოქმედებით უნარს ვერ გამოვიჩენთ და ამ ქვეყანას ადამიანურ ცხოვრებას ვერ მივანიჭებთო?! საკითხი სრულიად კანონიერია, მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ თვით „გოლოს კავკაზა"-ს ხვალვე დაავიწყდება თავისი დღევანდელი სადღესასწაულო სიტყვები და ხვალიდანვე მოჰყვება კაცთ-მოძულეობის და ძალმომრეობის პოლიტიკის ქადაგებას. დაღესტნისა და მთელი რუსეთის ხსნაც შეიძლება სხვა გზითა, სხვა საშუალებით; მოქალაქობრივ ცხოვრების დამყარებას ყველგან ხელს უშლიან იგივე სამხედრო წესები, იგივე საარაკო უძლურება ბიუროკრატიული მმართველობისა, მაგრამ სწორედ „გოლოს კავკაზა" არის წინააღმდეგი ხალხის და საზოგადოების ძალთა აღორძინებისა და თავისუფლად განვითარებისა, უამისოდ-კი არაფერი ეშველება არც დაღესტანს, არც კავკასიას და არც თვით რუსეთს.


იყიდება ყველგან ახალი

## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე".** წიგნი მშვენიერის **ყდით ღირს 1 მ. 35** კაპ.—**უყდო 1 მან.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—6.—1)

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე

## „სანდო"

გიორგი მიხეილის ძის ჩივაძისა ქუთაისში, ბალახვანის ქუჩა.

სანერგის პატრონი დაჯილდოვებულია საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების ვერცხლის მედლით (10—6.—3)

## საჭიროა გამოცდილი მასწავლებელი

გერმანულ და ლათინურ ენებისთვის მიხაილოვის კერძო პროგიმნაზიაში. ჯამაგირი 900—1200 მ. მსურველთ უნდა მიმართონ მიხაილოვში სამზრუნველო საბჭოს. (2—421—2)


## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 აგვისტო

### საპარსეთი

**თავრიზი.** გენერალ-გუბერნატორ მუგბირუს-სალთანეს ჩააბარეს ის იარაღი, რომელიც ამა წლის აპრილში რუსის ჯარმა ქალაქის მცხოვრებლებს ჩამოართვა სალდათ პეტრენკოს დაჭრის გამო.

### ოსმალეთი

**სალონიკი.** აქაურმა ბერძნებმა დიდი მიტინგი გამართეს. მიტინგმა დაადგინა, პროტესტი განუცხადოს მთავრობას, რომელმაც გადასწყვიტა პარლამენტის მიერ მოწონებულ კანონ-პროექტიდან ჯერ-ჯერობით სამი მუხლით ისარგებლოს სადავო ეკლესიების შესახებ. ამის გარდა, მიტინგმა დაადგინა, იშუამდგომლოს სენატის წინაშე, რომ მთავრობამ კანონ-პროექტით მხოლოდ მაშინ ისარგებლოს, როდესაც იგი კანონის ძალას მიიღებს.

### საზღვარ-გარედ.

**მადრიდი.** „ემპარსიალი" იუწყება: მეთორმეტე დივიზია, რომელშიაც 11,000 ჯარის-კაცი და აფიცერი შედის, მელილიაში მიდის. დივიზიის უფროსი გენერალი სოტომაიორია.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს 22 აგვისტოს თარიღით პეკინიდან დეპეშით ატყობინებენ: ჩინეთ-იაპონიის შეთანხმების ძალით მდინარე ტუმინი კორეის და მანჯურიის საზღვრად იქნება გამოცხადებული. იაპონია მოვალეა ქალაქი ჩიტაუ 2 თვის განმავლობაში მიატოვოს. გირინის რკინის გზის გასაგრძელებლად საჭიროა ორთავე სახელმწიფოების თანხმობა. ორთავე სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც გამოარკვევენ ფუშუნის და იანტაის სამთო რაიონების საზღვრებს.

**ვენა.** დაიწყო ძველ კათოლიკეთა კრება. კრებაზე მოვიდა მთავარ-ეპისკოპოსი გული უტრეხტისა, გენერალი კირეევი პეტერბურგიდან და სამი კსენძი მარიავიტი პოლონეთიდან.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** გადასახლების სამმართველოს ცნობებით პირველ იანვრიდან 15 აგვისტომდე ციმბირში გადასახლებულა 628,604 კაცი. ამავე ხნის განმავლობაში უკან დაბრუნებულა 85,424 კაცი.

**ნოვოჩერკასკი.** ტაგანროგის ოლქში დაატუსაღეს ბროდსკის სამადნო კანტორის გამცარცველები. სამივე რკინის გზის მოსამსახურეა.

**ოდესსა.** 23 აგვისტოს საღამოთი კარუჯზევის აგარაკის ეზოში უცნობებმა ყუმბარა გადააგდეს. ყუმბარა გასკდა, მაგრამ ზიანი არავისთვის არ მიუყენებია. ფიქრობენ—შურის-ძიება იყო.

**სარატოვი.** ბალაშოვის მაზრაში, სოფელ მორდოვსკი-კარაიში 120 სახლი დაიწვა.

შეიპყრეს კატორგიდან გამოქცეული ალექსანდრე კარრი, რომელსაც დედის და ორი დის სიკვდილი დაედო ბრალად. კარრი სარატოვში აზნაურ სემიონოვის გვარით სცხოვრობდა.

**მოგილევი.** (საგუბერნიო) სოფელ დომსკში, სენზენსკ-ს მაზრაში ცეცხლისაგან გადაიწვა 64 სახლი და 22 ბეღელი პურით და თივით. ზარალი 40,000 მანეთია.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 23, გარდაიცვალა 7, ავად არის 284 კაცი.

**კრონშტატი.** ორ დღეში ავად არავინ გამხდარა. საავადმყოფოში 3 კაცია.

**კრემენჩუგი.** ორ დღეში ავად გახდა 7 კაცი.

**კირილოვი.** შექსნის ნავთსადგურზე ხუთი საეჭვო ავადმყოფი აღმოჩნდა. ისინი საეროზო საავადმყოფოში მოათავსეს, ერთი გარდაიცვალა.

**ნოვოალექსანდროვსკი.** ავად გახდა 7, გარდაიცვალა 5 კაცი.

**მოგილევი.** (საგუბერნიო). ხოლერის გაჩენიდან ავად გახდა ქალაქში 3 კაცი, მაზრაში 2 კაცი.

**იაროსლავლი.** ორი დღის განმავლობაში ავად გახდა 21, გარდაიცვალა 8 კაცი; მაზრაში გარდაიცვალა 7 კაცი.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **დღესასწაული.** კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, გუშინ, 25 აგვისტოს, ტფილისშიაც იდღესასწაულეს გუნიბის აღებისა და აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობიდან 50 წლის შესრულება. ეგზარხოსის მოადგილემ, ეპისკოპოსმა გიორგიმ ალექსანდრე-ნეველის ტაძარში გადაიხადა წირვა. წირვის შემდეგ ეკლესიის მოედანზე საგანგებოდ გაკეთებულ ფარდულ ქვეშ გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგაც არსენალიდან ზარბაზნები დასცალეს. წაკითხულ იქმნა ნამესტნიკის ბრძანება, რომლითაც მან მიულოცა კავკასიის ჯარს 50 წლის დღესასწაული. წირვასა და პარაკლისს დაესწრო ნამესტნიკის თანაშემწეობის აღმასრულებელი გენ. შატილოვი, ნამესტნიკის თანაშემწე მიცკევიჩი, გენერლობა, წარმომადგენელნი თავად-აზნაურთა, ქალაქისა და სხვანი. მუსიკითა და ბაირაღებით მოვიდნენ ტფ. ხელოსანთა ამქრის უსტაბაშები და სხვანი. საღამოთი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. სახაზინო თეატრში „ინვალიდების" სასარგებლოდ წარმოდგენა გამართეს.

✦ **დღესასწაულის გამო.** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა და ტფ. გუბერნატორმა, გუნიბის აღებიდან 50 წლის შესრულების გამო, ბრძანება გასცეს ჯარიმების პატიებისა და ზოგიერთ პატიმართა განთავისუფლების შესახებ. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, ეპატიათ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისა გამო დადებული ჯარიმა იმათ, ვინც 25 მანეთით და ნაკლებით იყო დაჯარიმებული და ვისაც ეს ჯარიმა 25 აგვისტომდე არ გადაუხდია; ეპატიათ სასჯელი იმათ, ვისაც იმავე დადგენილებათა დარღვევის გამო ორი თვით დაპატიმრება ჰქონდა გადაწყვეტილი; გაანთავისუფლეს ის ტუსაღები, რომელთაც 25 აგვისტოს ვადის გათავებამდე ორი კვირა ან ნაკლები-ღა აკლდათ. გუბერნატორის ბრძანებით ეპატიათ ჯარიმა იმათ, ვინც 15 მანეთამდე იყო დაჯარიმებული; ეპატიათ სასჯელი იმათ, ვისაც სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის სამი დღით დაპატიმრება ჰქონდა გადაწყვეტილი.

✦ **პარალელურ კლასების დაკეტვა.** ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში მდგომარე სამოსწავლო წლიდან დაიკეტება მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე კლასების პარალელური განყოფილებანი, აგრეთვე ქალთა სკოლის პირველი ორი კლასი. მიზეზი უსახსრობაა.

✦ **სასწავლებლის ზედამხედველის გადაყენება.** გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ბრძანებით, თანამდებობიდან გადაუყენებიათ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი რისტკოკი (ზ.).

✦ **თეატრის შესახებ.** დღეს, 26 აგვისტოს, საღამოსთვის დეპუტატთა საკრებულოში დანიშნულია სხდომა ტფ. თავად-აზნაურთა მარშლებისა და დეპუტატებისა. სხდომამ საბოლოოდ უნდა გადასწყვიტოს, მისცეს თუ არა თეატრი იჯარით ქართულ დრამატიულ საზოგადოებას. როგორც ვწერდით, დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა, თეატრი და საელექტრონო სადგური იჯარით აიღოს. პირობები უკვე წარუდგინა საკრებულოს.

✦ **სომხური სემინარია.** ტფ. სომხურ ნერსესიან სემინარიაში წელს

მისაღები ეგზამენები არ არის დანიშნული, რადგან თავისუფალი ადგილი არ არის. ამ სემინარიის მე 7 კლასი აქამდე დაკეტილი იყო. საპედაგოგიო საბჭომ წელს სახსარი მოიპოვა და ისევ გაალო მეშვიდე პედაგოგიური კლასი.

✦ **ეპისკოპოსი გრიგოლ.** როგორც ხმა დადის, მართალი არ არის თურმე გაზეთების ის ამბავი, ვითომ ბაქოს ეპისკოპოსი, ექსარხოსის თანამდებობის აღმასრულებელი, გრიგოლ რუსეთიდან აღარ დაბრუნდება. ეპ. გრიგოლი აგვისტოს ბოლო რიცხვებში დაბრუნდება პეტერბურგიდან და შეუდგება ექსარხოსის თანამდებობის აღსრულებას. როგორც ამბობენ, საკითხი ექსარხოსის თანამდებობის გაუქმების შესახებ ჯერ არ არის გადაწყვეტილი, არც ის არის თურმე გადაწყვეტილი, თუ ვინ იქნება დანიშნული ამ თანამდებობაზე.

✦ **პირველ სექციის სხდომა.** დღეს, 26 აგვისტოს, საღამოსთვის ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია სხდომა ერობის შესახებ პირველ სექციისა.

✦ **ეპისკოპოსის დაბრუნება.** იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი დღეს დაბრუნდება თავის ეპარქიაში.

✦ **კატორგიდან გამოქცეულნი.** ბაქოს გაზეთების სიტყვით, ბაქოში შეუპყრიათ ნესტორ აღანაია და კირილე ადამია. ორივე კატორგიდან ყოფილა გამოქცეული.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.** სიღნაღის მაზრის სოფელ გურჯაანში იხსნება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

✦ **ეპისკოპოსების მოწვევა.** როგორც ვწერდით, 1 სექტემბერს სემინარიის ახალ შენობაში ვაკეზე აკურთხებენ ეკლესიას. ამ დღისთვის რუსეთიდან მოუწვევიათ ყოფილი რექტორები ტფ. სემინარიისა: ცნობილი შავრაზმელები სარატოველი გერმოგენი და პოლოცკელი სერაფიმე, აგრეთვე ლადოგის ეპისკოპოსი ნიკანდრი და ტაშკენტისა დიმიტრი (აბაშიძე).

✦ **ჯარიმის პატიება.** ნამესტნიკის ბრძანებით, ბაქოს გრადონაჩალნიკს სასჯელისაგან გაუნთავისუფლებია ისინი, ვისაც ადმინისტრატიულად ორი კვირის დაპატიმრება ჰქონდა გადაწყვეტილი და მოუხსნია ჯარიმა იმათთვის, ვისაც სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ხუთი თუმნის და ნაკლების გადახდა ჰქონდა გადაწყვეტილი.

✦ **მოხსენება.** ამას წინად ტფ. პატრიოტულმა საზოგადოებამ სთხოვა გრიგოლ ეპისკოპოსს, ექსარხოსის მოადგილეს, საუკუნოდ ჰყოს ხსენება 1908 წელს 28 მაისს მოკლულ ექსარხოსის ნიკონისა. გრიგოლ ეპისკოპოსმა ეს მოხსენება აცნობა სინოდს, რომელმაც სასინოდო კანტორას წინადადება მისცა, ყოველ შაბათობით გადახდილ იქმნას წირვა და პანაშვიდი ექსარხოსის კარის ეკლესიაში. ამას გარდა, კანტორას ებრძანა, დაავალოს საექსარხოსოს ყველა ეკლესიას ყოველ წელს 28 მაისს გადაიხადოს ხოლმე წირვა და პანაშვიდი ნიკონის სულის მოსახსენებლად.

✦ **კანცელარიის გადატანა.** გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდის განკარგულებით, გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭოს კანცელარია ფოთიდან ისევ სენაკში იქმნა გადატანილი. ამ ათი წლის წინად დიდი მიწერ-მოწერა იყო იმის შესახებ, რომ კანცელარია სენაკიდან ფოთში არ გადაეტანათ.

✦ 24 აგვისტოს პოლიციელებმა ქუჩაში დააპატიმრეს ნერსესიან სემინარიის მასწავლებელი არტაშეს აბელიანი. სახლის გაჩხრეკის შემდეგ მასწავლებელი ისევ გაანთავისუფლეს.

# მოწერილი ამბები

**სამეგრელო.** საქართველო ბუნებით მდიდარი ქვეყანააო, იძახის ყველა. ჩვენი ქვეყანა, რომ ბუნებით მდიდარი ქვეყანაა, ამას, სხვათა შორის, ისიც მოწმობს, რომ აქ ბლომად მოიპოვება საუცხოვო საავგარაკო ადგილი და სამკურნალო წყალი. საუბედუროდ, ზოგი საავგარაკო ადგილი და სამკურნალო წყალი უყურადღებობისა და მოუვლელობის გამო მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ზოგან მისასვლელი გზა არ ვარგა, ზოგან უსუფთაობა და უბინაობა აჭირვებს საქმეს, ზოგან არც გზა ვარგა, არც სისუფთავეა და ამ გვარად მოაგარაკე მეტად უხერხულ და ცუდ მდგომარეობაში ვარდება და ჰაერით სარგებლობის ნაცვლად ტანჯვაში ატარებს დღეებს. სწორედ ასეთ უნუგეშოს მდგომარეობაშია სამკურნალო წყლები სამეგრელოში. მესაკუთრენი ყურადღებას არ აქცევენ ამ საავგარაკო ადგილებს. ლებარდეს სამკურნალო წყალი (რკინის მჟავე წყალი) ეკუთვნის მთავრის ჩამომავალს უკან. თავადს მინგრელსკის, ხოლო თეთრი-მთა (იქაც იგივე ღირსების წყალი უნდა იყოს) დადიანებს. მაგრამ არც პირველი და არც უკანასკნელნი ყურადღებას არ აქცევენ ამ ადგილებს. არც ერთი მათგანი არ ზრუნავს მ. თს გასაუმჯობესებლად, გასასუფთავებლად და ბუნების მოსაწყობად. ისინი იჯარით აძლევენ სხვებს; მოიჯარადრენი-კი მაგდენად არას დაგიდევენ. მათი პირდაპირი მიზანია, როგორმე ბლომად მოიგონ და მოაგარაკენი გაფცქვნან. მისვლისათანავე მწყემსებს უნდა გაურიგდეს კაცი, რომ კარავი აუშენონ. კარვებს აშენებენ უვარგისს და უჰიგიენოს, კარვებში კაცი ადვილად გაცივდება, რადგან ჭუჭუტანებში ქარი სისინებს.

„ჩე-გვალა“ ანუ, როგორც უძახიან, ტეხური მდინარე ტეხურის სათავეებთან მდებარეობს. ლებარდე სვანეთის საზღვარზეა. საკმარისია ერთი მთა ჩრდილო-დმოსავლეთის მხრისა გადაიაროთ, რომ დაინახოთ სვანეთის ერთი საუკეთესო სოფელთაგანი ლენტეხი და მდინარე ცხენის-წყლის და ენგურის სათავე. ორივე ადგილი მდიდარია ნაძვნარ-ფიჭვნარით. ვერა ნახავთ მთებში ერთ ადლ მიწას თავისუფალს, ყველგან ფიჭვი და ნაძვია. იქაური ჰაერი ძალიან უნდა მოუხდეს ფილტვებით ავადმყოფებს. წყაროები ბლომად არის, მაგრამ მოგზაურობის დროს იმას დასალევად არა ვხმარობდით, რადგან მჟავე წყალი გვიხიდავდა.

ზოგგან პატარა ღელეების წყალს მატლი გაჩენოდა და ამან ძალზე გამაკვირვა. გამოვკითხე მწყემსებს და მითხრეს: ეს „ჯირთის“ (ასს წლობით დაგუბებული თოვლია) ბრალიაო. მართლაც, ამ ღელეების სათავეს მზე, ზოგს მაინც, სულ არ უდგება და ამიტომ თოვლი თავის დღეში არა დნება.

ცხოვრება ძვირი არ არის. რძე ერთი ბოთლი შვიდ კაპეიკად იშოვება, მაწონი ხომ ჩალის ფასად არის. ეს არის მხოლოდ, რომ ხორცი ცოტა ძვირია. ძვირი არ ითქმის, მაგრამ არ იშოვება. მწყემსები ვერ იმეტებენ ცხვრებს და „ბატკებს“ (ბატკნებს).

ასეთ ჰაერის სიმდიდრესთან, წყლის სიკარგესთან და ცხოვრების სიიაფესთან უსუფთაობა და უბინობა აჭირვებს საქმეს. მაგრამ ამასაც გაუძლებდა კაცი, რომ გზა იყოს ხეირიანი. ისეთი გზაა, რომ გაჭირვებითაც კი ძნელია მისვლა. ვერ გამოვთქვამ იმ გაჭირვებას, რაც ჩვენ გზაში გამოვცადეთ. ერთის მხრით ცათამდის აყუდებული მთები, მეორეს მხრით მდინარე ტეხური და კლდე-ღრეები, შუაში ვიწრო ბილიკი, აღმართ-დაღმართი მრავალი. ერთი დღის სავალს სამი დღე მოუნდით. თვითონ საავგარაკო ადგილებში ვიგრძენით შვება და სიხარული.

ხსენებულ ადგილებში თითოში სამასოთხასამდის მოაგარაკე მოიყრის თავს. ექიმი არსად არის. აფთიაქისა და წამლების ხსენებაც არ არის.

წყლების შესახებ ვერას ვიტყვი, რადგან ჯერ არავინ დაინტერესებულა და არ გამოუკვლევია. მოაგარაკენი, რა ავადმყოფობისაც არ იყვნენ, სვამენ ამ წყლებს, მაგრამ არ კი იციან, მოუხდებათ თუ არა; ზოგი ბანაობს, მაგრამ ვინ იცის, იქნებ სწყენს კიდეც.

**ლ. გეგეჭკორი.**

# პატარა ფელეტონი

## ჰაერის პოლიცია და ცენტრალიზმი

გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ საფრანგეთის ერთმა მკვიდრმა, სახელდობრ ბლერიომ, გამოიგონა ისეთი მანქანა, რომელსაც ადამიანი საითკენაც სურს, იქით გააფრენს. ბლერიო უკვე გადაფრინდა ამ თავის მანქანით საფრანგეთიდან ინგლისში და ინგლისიდან საფრანგეთში. ნიჭიერ გამომგონს ყველგან ალტაცებით მიეგებნენ და ქება-დიდებით აღსავსე სიტყვები უძღვნეს. სხვათა შორის პარიზის პოლიციის უფროსმა მოხუცმა ლეპინმა სიტყვა უთხრა ბლერიოს, რომელშიაც გამოსთქვა თავისი მწუხარება იმის გამო, რომ ბლერიომ თავის ახალ გამოგონებით პოლიციას კიდევ უფრო გაუჭირა საქმე, რადგან მფრინავ ადამიანებზე თვალ-ყურის გდება მეტად ძნელიაო, და ამავე დროს გამოსთქვა თავისი სიხარული იმის გამო, რომ ეს გამოგონება ეკუთვნის იმის თანამემამულეს, სახელოვან ფრანგს ბლერიოს.

მართლაც, ცოტათი რომ დაუფიქრდეთ საგანს, არ შეიძლება არ თანაუგრძნოთ პოლიციას, რომელიც ბლერიოს ახალმა გამოგონებამ დიდ გასაჭირში ჩააგდო. მაგალითად, სად უნდა მიუჩინონ ადგილი ქუჩის პოლიციელს მაშინ, როცა კაცთ-შორის მისვლა-მოსვლა ჰაერში გაჩაღდება? დღეს ხომ პოლიციელი უმრავლეს შემთხვევაში ქუჩა-ჯვარედინზე სდგას, საიდანაც ყველაფერს ჰხედავს, რაც ამ ქუჩებზე ხდება. სად უნდა დადგეს, ან როგორ უნდა გაჩერდეს იგი იმ ჰაერში, სადაც მოძრაობა, მისვლა-მოსვლა ყოველ-მხრივი და უგზო-უკვლო იქნება. დღეს ქუჩისა, მომავალში კი ჰაერის პოლიციელი იძულებული იქნება ერთსა და იმავე დროს იყურებოდეს მაღლა, დაბლა და გვერდით, ერთი სიტყვით, ყოველ მხრივ. განა ეს შესაძლებელია? ნუ თუ არ გესმით, ღრმად არ თანაუგრძნობთ მომავალ პოლიციელს მძიმე გასაჭირში?

შეიძლება რამე სასწაული მოხდეს, იმისი მსგავსი, როგორიც დაემართა ერთ უდაბურ ალაგას, ტყის შუა-გულში სრულებით მარტო მცხოვრებ დარაჯს, რომელსაც ვიღაცამ ძუძუს ბავშვი მიუგდო. დარაჯმა შვილად აიყვანა ეს ბავშვი, მაგრამ არ იცოდა, როგორ გაეზარდა იგი, რადგან იმის მიდამოში რძე არას გზით არ მოიძებნებოდა. დიდად სწუხდა და შფოთავდა გულკეთილი დარაჯი და ამ დროს საოცარი რამ სასწაული დაინახა: მკერდზე ძუძუები გაეზარდა, ქალის ძუძუებად გადაექცა და შიგ რძე გაუჩნდა.

თუ კი გაჭირვებამ და მღელვარებამ ტყის დარაჯს ვაჟკაცის გულ-მკერდი ქალის გულ-მკერდად შეუცვალა, ნუ თუ იგივე გაჭირვება და მღელვარება ხელს არ შეუწყობს ადამიანთა მომავალ დარაჯს, ჰაერის პოლიციელს. ნუ თუ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ამ გაჭირვებისა და მღელვარების მიზეზით მომავალ ჰაერის პოლიციელსაც გამოესხმის თვალები თავის „კინჩხზე“ და ფეხის გულებზე, რათა შესძლოს ჰაერში თვალ-ყურის გდება იმისათვის, რაც მაღლა, დაბლა და გვერდით მოხდება?

ახლა, ხუმრობა გაშვებით, ჩვენ თავს დავეკითხოთ; თუ ბლერიოს შესანიშნავმა ახალმა გამოგონებამ ასეთ გაჭირვებაში ჩააგდო მომავალი პოლიციელი, რა გაჭირვებაში უნდა ჩააგდოს იმან მომავალი „ცენტრალიზმი“, რომელიც უპოლიციოთ წარმოუდგენელია. ცენტრალიზმი ხომ იმას ჰნიშნავს, რომ ყოველსავე დადგენილებასა და კანონს, რომელსაც ერთ ადგილას, მაგალითად პეტერბურგს, გადასჭრიან, მთელი ხალხი, მაგალითად რუსეთში მცხოვრები 140 მილიონი მკვიდრი უნდა დაემორჩილოს. ხმელეთზე ხალხის დამორჩილება და ერთი კანონის ქვეშ მოქცევა, რასაკვირველია, ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ჰაერში მფრინავ ხალხის დამორჩილება და ერთი კანონის ქვეშ მოქცევა. თვით ბლერიოს ახალი გამოგონება ხომ განხორციელებული წინააღმდეგობაა, ხორც-შესხმული მტრობაა იმ ცენტრალიზმისა, რომელიც ადამიანის თავისუფლებას საზღვარს უდებს და მრავალ მილიონ ხალხს მთავრობის მიერ არჩეული ერი გზაზე სიარულს ავალებს. რადგან მთავრობამ ადამიანს ხმელეთზე სავალი გზები ადვილად შეუკრა და იმისი თავისუფლება დააბრკოლა, თავისუფლებს მწყურვალე ადამიანმა ფრინველებს [illegible] ფრინველებმა თავიანთ ფრთების შემწეობით კარგა ხანია აიცდინეს.

რომელი ფრინველი, ფრთოსანი სულდგმული შეედარება სისწრაფით ადამიანის ფიქრსა და გრძნობას. ამ ფიქრითა და გრძნობით ადამიანს შეუძლიან ერთ წუთში მთელ კაცობრიობასა და მთელ მსოფლიოს თავს შემოევლოს. რანაირად უნდა დაემორჩილოს ეს სულითა და გრძნობით ფრთოსანი ადამიანი უსულო, უცხოველო და ფრთა-შემოკვეცილ ცენტრალიზმს?

**ილია ნაკაშიძე.**

# ოსმალეთის ამბები

**ოსმალეთის პარლამენტის მოქმედება.**

წარსულ 8 აგვისტოს დაიხურა ოსმალეთის პირველი სესია. დეპუტატთა პალატის შრომა საკმაოდ ნაყოფიერი იყო.

პალატამ გაარჩია და შესცვალა აწ მომქმედი კონსტიტუცია და ამით დაადგინა ძირითადი კანონი, რომელიც სულთანმა მხოლოდ იმის გამო არ დაამტკიცა, რომ სენატი არ დაეთანხმა პალატას ორიოდე უმნიშვნელო საკითხის შესახებ, რომლების გადაწყვეტაც მომავალ შემოდგომამდე გადიდევა. და ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ შემოდგომაზე, პარლამენტის შეკრების უმალ, კონსტიტუციის შეცვლა დასრულდება, და ახალი ძირითადი კანონი უზრუნველჰყოფს მოქალაქეთა პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლების ხელშეკრულობასა და აღმასრულებელ მთავრობის პასუხის გებას სახალხო წარმომადგენელთა წინაშე.

ამას გარდა, პარლამენტმა გაარჩია და დაამტკიცა ბიუჯეტი,—პირველი ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში. რადგან ოსმალეთის ბიუჯეტში არ არსებობს „ჯავშნიანი“ მუხლები, ამიტომ ხარჯთ-აღრიცხვის ყოველი მუხლი არსებითად გაარჩია პარლამენტმა და არა მარტო გარეგნულად. პარლამენტსა და მის საბიუჯეტო კომისიას დასჭირდა საშინელი შრომა და უნდა ვსთქვათ, რომ პარლამენტმა საკმაოდ კარგად მოაწესრიგა ბიუჯეტის საქმე: მან წლევანდელი ბიუჯეტი შეამცირა თითქმის 20 მილიონ მანეთით და

# ეტიუდები ქართულ ლიტერატურიდან

ა. ყაზბეგი (ა. მოჩხუბარიძე).

(შემდეგი *)

V.

ყაზბეგი ცხოვრების ისეთს საგანს იკვლევდა ისეთის სიღრმითა და შორს მჭვრეტელობით, როგორიც არის გრძნობა **სიყვარულისა**. ამ ნიადაგზე კაცის სული და ხორცი უმწვერვალესობამდის მიდის თავისის თვისების გამოაშკარავებაში. გრძნობა და აზრი განსაკუთრებულის სინაზით იმოსება, არა ჩვეულებრივ სიმწვავეს იჩენს. კაცის გულის ნადების, კაცის სულის მოძრაობის გამოაშკარავებისათვის უკეთესის მომენტის მოძებნა ძნელიც არის. ამიტომაც ყაზბეგმა, რომელიც ამ გრძნობის თვით უსაიდუმლოესი და თვით წარმტაცი მხარეები ისე ნათლად დაგვიხატა, თავისის გმირების სულის ვითარების ყოველივე მიხვრა-მოხვრა სავსებით თვალწინ გადმოგვიშალა. ხოლო ამით ის შეიქმნა ქართულს ლიტერატურაში **ფსიხოლოგიურის** რომანის დამამკვიდრებელი. ამის მაგალითებია ყველა ჩვენ მიერ ვრცლად აღმოწერილი ნაწერები მისის სხვა და სხვა მოთხრობებიდან.

ავტორი გვიჩვენებს, რა განწყობილებაა ბუნებას და პოეტურად განწყობილს მოხევეს შორის, რა გავლენა აქვს კაცის სულის განწყობილებაზე ამა თუ იმ მოვლენას ბუნებისას, როგორ აფერადებს და თავისებურად ამკობს ამა თუ იმ გუნებაზე მყოფი მეცხვარე ბუნების სურათს. ყაზბეგმა დაგვანახვა მთელი ძალა სიყვარულისა, რას იწვევს ის მიჯნურის სულში, როცა სატრფო მისი თანამგრძნობელია, რა მწვავე სევდით ავსებს მას, რომელსაც საყვარელი გულცივად და გულგრილად ეპყრობა; დაგვანახვა, რა ტრაგედიით აღსავსე კატასტროფას იწვევს ადამიანის არსებაში ამ გრძნობის მიმდინარეობა, თუ გზაზე მას რაიმე ხელის შემშლელი და მისი მსვლელობის შემაფერხებელი აღემართა. ვნახეთ ონისეს თავზარ დამცემი ბოროტმოქმედება—მაყვალას მოკვლა, იმიტომ, რომ „მაყვალა ცხოსთვის ვერ დაეთმო“, სულ ერთი იყო, ვინ იქმნებოდა ეს „ცხო“: გელა, რომელსაც იგი „ღმერთმა“ და ხალხმა აკუთნა“, თუ განყენებული რამ არსება. ვნახეთ, რა ცოჯოხეთურ სახეს ღებულობს ეს გრძნობა ისეთის მახინჯების სულში, როგორიც გირგოლა იყო, რომელიც მთელ სატანისებურ პლანს ამზადებს ნუნუს დასასაკუთრებლად. ვნახეთ მათია, ამ გრძნობისაგან „კანალამ“ მეგობრის მოღალატე, „ძმად შეფიცულის“ გამწირავი და მთელი ბრძოლა, რომელიც იმის სულში ხდება ორ დიდ გრძნობის შორის. ავილოთ თუ გნებავთ კიდევ ერთი ნიმუში „მოძღვრიდან“, რომელიც ყაზბეგის შეუდარებელის ხელოვნების ნაყოფია.

ონისე და მაყვალა პირველად შეჰხვდებიან ერთმანეთს, მათის სიყვარულის მტერის, მაყვალას „კანონიერის“ ქმრის სახლში.

„რაც ონისეს და მაყვალას ერთმანერთი არ ენახათ, კარგა დროს გაევლო და ამ ხანში ორთავეს ნაღველი გულში ეგროვებინათ; აღძრულის გრძნობის მალვას შეჩვეულ იყვნენ და ამისთვის ეხლა, როდესაც მარტონი დარჩნენ, მეტად ძნელს მდგომარეობას გრძნობდნენ, ორთავეს ეძნელებოდათ დაპარაკი და ორთავეს კი იმდენი სათქმელი ჰქონდათ; ორნივე ერთმანერთს ემდურებოდნენ და საყვედურის თქმა უნდოდათ, ყელში მომდგარი სიტყვა მხოლოდ პირს გააღებინებდა, მაგრამ მეტის-მეტი აღელვება მაშინვე ხმას გააწყვეტინებდა და ისევ ისე გაჩუმებული დარჩებოდნენ“.

მაყვალა და ონისე ერთმანეთს უსაფუძვლოდ ეჭვიანობდნენ და ერთმანეთის თითქო უკმაყოფილონი იყვნენ. „ასე ისხდნენ ორნი, თავდაღუნულები, აღშფოთებულები, თითქოს ერთმანეთს გაბუტვიანო და მხოლოდ გახშირებული ოხვრა-ლა ამტკიცებდა, რომ წარმოუთქმელს მოუსვენრობაში იყვნენ. კარგა ხანმა გაიარა, როდესაც ონისე ერთბაშად შეჰკრთა და თითონაც არ იცოდა, როგორ წამოიძახა.

— ქალავ? ბევრი ხანია არ მინახიხარ... შენი ამბავი არ გამიგია, მიანბე: როგორ რა ხარ?

— რაი მიჭირს. მწარეს ღიმილით და ამოოხვრით მიუგო მაყვალამ და მხრები აიწია. სახლი მაქვს და ქმარი მყავს.

აი, რა მარტივის სიტყვებით, გრძნობ თ, რამდენი ნაღველი და სიმწარე გადმოანთხია მაყვალამ. მთელი თავის არსების უბედურება, მისი გულის სევდა და ვარამი, მისი სულის კაეშანი ორი სიტყვით არის გადმოცემული. აქ არც პრანჭვაგრეხაა, არც კეკლუცობა, აქ ნამდვილი მწუხარებაა და საფუძვლიანი საყვედური მიჯნურისადმი. „რაი მიჭირს. სახლი მაქვს და ქმარი მყავს“. აქ ონისესთვის ყველაფერი ცხადი შეიქმნა. შეიგნო მან, რა ტანჯვაშია მისი სატრფო, მაგრამ სისასტიკე გაბრაზებულის მამაკაცისა, გაშმაგებულის ლომის კლანჭები მაინც ვერ დამალა და მკვახედ მიახალა.

— მაშ, ბედნიერი ხარ?.. შეჰხედა, ხმა აუკანკალდა, მაგრამ რა წამს ქალის სახე დაინახა, ისევ მოტყდა და წყნარად დაუმატა: —ინებოს უფალმა!.. ჩემთვის ყველა განჭქრა, ყველა მოკვდა და სიცოცხლე გამწარდა!.. შენ მაინც იყავ ბედნიერი.

რასაკვირველია, ონისე, ის ონისე, რომლის გულიც სიყვარულის ალს ცეცხლის მფრქვეველ მთად შეექმნა, ეს ონისე ასეთის მშვიდის კილოთი არ მიმართავდა მოღალატე სატრფოს; მაყვალას ორმა სიტყვამ კარგად დაარწმუნა თავის ბედნიერებაში, მაგრამ კიდევ უფრო უნდოდა დარწმუნებულიყო, უნდოდა მაყვალას პირდაპირ უშიშრად გამოეაშკარავებინა მისდამი გრძნობები, ამიტომაც ცეცხლს ზეთი დაასხა.

„ქალმა შეჰხედა და გულში თითქოს რაღაც აუდუღდა; თბილად, მოუსვენრად ადმა წამოვიდა, სასუნთქთან ცახცახი დაუწყო. ათრთოლებულის თითებით მისწვდა საკინძეს და ანგარიშმიუწდომლად ჩამოიწყვიტა. მას ეგონა, რომ პერანგმა ძალზედ წაუჭირა და სული შესტაცა და ამოსუნთქვის ნებას აღარ აძლევსო.

აქ არის სავსებით ნაჩვენები სულის მოძრაობა და მისი გარეგანი გამოსახულება, ფსიხოლოგია და ფიზიოლოგია; სულის-კვეთება სისხლის და სახის მოძრაობაშია აქ გამოხატული. ონისემ კიდევ უკიდურეს საშუალებას მიმართა, რომ სატრფოსთვის კიდევ მეტი ტანჯვა მიეყენებინა და ამნაირად მისთვის დაეცდინა სანეტარო აღსარება და თავის-თავადაც მეტი გაბედულება მოეპოვებინა, რომ „სიყვარულისთვის“ ბრძოლას უფრო თავ-ხედის გაბედულებით შესდგომოდა... მან არაყის სმას მიჰყო ხელი... და თან და თან სიტყვებში სამსალასა და ძიმწარეს ურევდა.

— შენ დამივიწყე, მაგრამ მე კი ისევ ისე მიყვარხარ, ღთის მადლმა! ისევ ისე, როგორც ღმერთი.

მაყვალას ეს-და აკლდა, რომ ნაღველს წვეთიც მოჰმატებოდა და მდუღარე ნაკადულად გადმოსდენოდა; იმას ეგონა, რომ ონისეს დიდი ხანი იყო, რაც გულიდგან ამოეგდო, გადაეგდო, დაევიწყებინა და ესლა კი ესმოდა, რომ მოტყუებული იყო, სიცოცხლის სიტკბოების იმედი კიდევ შესაძლებელი იყო...

— იყუჩე, გეუბნები!—ქალმა კიდევ უთხრა და ტირილი გაბრაზებად გადაექცა.

ონისე გაყრუვდა, ადელდა და თავდავიწყებაში ჩავარდა. გრძნობამ გაიბრძოლა და აქამდის შეჩერებული მოთმინება გადმოჰხეთქა. საბრალომ იგრძნო, რომ თავს ვეღარ იმაგრებს და ძალის მოსაპოებლად ისევ არაყს მიმართა, მაგრამ ვეღარ მოასწრო ყანწის ტუჩებთან მიტანა, როდესაც ქალი ზეზე წამოიჭრა და გამწარებით მივარდა.

ორთავ იგრძნეს, რომ ყოველგვარი მათი ეჭვი და საყვედური ერთმანეთის შესახებ ყოველს საფუძველსა და ნიადაგს მოკლებულია და ეხლა მარტო-ღა გაბედულება იყო საჭირო რომ ერთმანეთისათვის ცხადად ეჩვენებინათ შეუდრეკელი ძალა იმ გრძნობისა, რომლითაც ერთმანეთისადმი გაჟღენთილნი იყვნენ. ონისე შეუპოვრად სვამდა. მაშინ ქალმა ვეღარ მოითმინა და ალერსს მიჰმართა გაშმაგებულის მიჯნურის დასამორჩილებლად. ონისემ

იგრძნო კისერზედ მოხვეული ქალის ნაზი ხელები და თვალთ დაუბნელდა—ნუ სვამ, ნუ! შენაი ჭირაიმე... თავს ნუ იღრჩობ... არ მინდა, ბიჭავ! გაიგონე, მეთქი, არ მინდა! წყნარად და ტკბილად ჩასჩურჩულებდა მაყვალა; თრთოდა, ინთებოდა, ზედ ევლებოდა.

ონისეს გადაავიწყდა ქვეყანა, გადაავიწყდა სტუმრის მოვალეობა მასპინძლისადმი, გადაავიწყდა თავის თავიც და მხოლოდ ერთმა გრძნობამ შეიპყრო, ერთმა წადილმა დაიმორჩილა. მას ესმოდა, რომ მაყვალას უყვარდა, უანგარობის ტრფიალებით ეალერსებოდა, ესმოდა მისი გულის ძგერა და წუთის თავდავიწყებას მისცემოდა.

ონისეს თვალები აემღვრა, სისხლი აუდუღდა, აუჩუხჩუხდა, მკლავში გაეშალა და წუთს შემდეგ ძვირფას ქმნილებას გულში ძალზედ იკრავდა, ნეტარის სიტკბოებას გრძნობდა.

ორთავეს სიტყვა გაუწყდათ, სულთქმა გაუძნელდათ და, მის მაგიერად, ხანგამოშვებითი აღშფოთების ქშენადა ისმოდა.*)

აქ მთელი დრამაა, მთელი ისტორია სიყვარულის და მთელი ეს მოთხრობა განვითარებაა ამ პატარა ნაწყვეტისა, რომელიც სავსებით გადაგვიშლის თვალ-წინ ორ მიჯნურის სულის მდგომარეობას. ეხლა დავინახოთ, როგორ აღგვიწერს ყაზბეგი ცალკ-ცალკე ონისესა და მაყვალას გულის თქმას და სულის ვითარებას.

მაყვალასა და ონისეს „ნეტარი წამები“ თავისს ბუნებრივ დასასრულამდის ვერ მივიდნენ, იმიტომ რომ გელას სიმღერა მოესმათ. მაგრამ მაყვალას ფსიხიურს განწყობილებას კი საუკუნო დაღი დაასვეს. წარსულის ღამის უეცრად შეწყვეტილმა „სიტკბოებამ“ მაყვალას მისი მდგომარეობა თვალ-წინ გადაუშალა და მას ჩაუფიქრდა.

პირველმა თავდავიწყების წუთებმა გაიარა და მათი ადგილი ცხოვრების სინამდვილემ დაიჭირა, თვალწინ წარმოუდგა წარსული და მძიმე ლოდათ გულს შამააწვა. ქალს მოაგონდა მწარე და ძნელად ასატანი წუთები ძალად გათხოვებისა, მოაგონდა ცრემლით გატარებული ღამეები, როდესაც თავის მოკვლას და ემშაკისთვის სულის მიცემას მხოლოდ სასწაულით გადარჩენილიყო, მოაგონდა მთელის წლობით

*) ის. „დროება“, N 182.

*) «მოძღვარი», გვ. 52—56.

ბევრ რეფორმის პროექტი შეადგინა მომავლისთვის.

მერე, პარლამენტმა დაამტკიცა ბევრი კანონ-პროექტი, რომლებიც გზას უკაფვენ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების თანახმად, ხოლო, როგორც ვიცით, ეს საკითხი ყველაზე მეტადაა გამწვავებული ოსმალეთში. ასე, მაგალითად, პარლამენტმა დაამტკიცა კანონი, რომლის ძალით არა-მუსულმანებმაც უნდა გადიხადონ სამხედრო ბეგარა, და კიდევ მეორე კანონი, რომელიც შეეხება ბერძენ-ბოლგართა დავას ეკლესიებისა და სკოლების თაობაზე მაკედონიაში.

ოსმალეთის ხალხის წარმომადგენლები, ახალი კანონების გამოცემის გარდა, მოუნდნენ აგრეთვე ძველის რეჟიმის ბოროტ-მოქმედებისა და ცოდვების მოსპობასაც. ადმინისტრაციის რეფორმა, უვარგის და მეტ მოხელეების დათხოვნა, აბდულ-ჰამიდის მიერ უკანონოდ და უსაბუთოდ ნაბოძებ ჩინებისა და მამულების ჩამორთმევა, ადანის ხოცვა-ჟლეტის გამოძიება და მის მონაწილეთა აღმოჩენა და სხვა,—აი ამ საქმეებისთვის პარლამენტს საკანონმდებლო შრომის გარდა, დასჭირდა კომისიების დანიშვნა და დელეგატების გაგზავნა.

დასასრულ, მრავალმა შეკითხვამ, რომლებიც შეეხებოდა სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგს უფლებრივ, ერთის მხრივ პარლამენტს გააცნა საქმეთა ნამდვილი მდგომარეობა სახელმწიფოში, მეორე მხრით მთავრობა შეაჩვიეს ხალხის წარმომადგენელთა კანტროლსა და ზედამხედველობას. 8 თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ სთქვა მინისტრმა უარი და პასუხი არ მისცა პარლამენტს,—ეს იყო დიდი ვეზირი ქიამილ-ფაშა,—იგი იძულებული იყო ქუდი მოეხარა და დაუყოვნებლივ სამსახურიდან გადამდგარიყო.

როგორცა ვხედავთ, ოსმალეთის პარლამეტმა დიდი საქმე შეასრულა მიუხედავად იმისა, რომ მასაც ბევრი დაბრკოლება აღმოუჩნდა მუშაობის დროს. ეროვნული საკითხი ევროპაში არსად არ არის ისე გამწვავებული, როგორც ოსმალეთში; ევროპის არც ერთ პარლამენტისთვის, საფრანგეთის კონვენტის დროიდან, არ აუტეხიათ იმდენი საერთაშორისო დავა, როგორც ეხლა ოსმალეთის ნორჩ პარლამენტს აუტეხეს. ამას გარდა რეაქციონერებმა კონტრ-რევოლიუცია მოახდინეს პარლამენტის მუშაობის დროს და კინაღამ მთლად არ დაამხეს ახალგაზდა ოსმალეთის თავისუფლება.

მიზეზი ოსმალეთის პარლამენტის ნაყოფიერ მოქმედებისა არის—რევოლიუციის ორჯელ გამარჯვება. ჯერ კიდევ 31 მარტამდე ვერავინ ვერ ჰბედავდა პარლამენტში იმის თქმას, რომ „ამა და ამ დღეს საქმის გარჩევის უფლება არ გაქვთ, ამა და ამ საკითხის აღძვრა შეუწყნარებელიაო". კონტრ-რევოლიუციის დათრგუნვის შემდეგ ხომ მთავრობა ნამდვილ თანაშემწედ გაუხდა პარლამენტს და მასთან ერთად შეუდგა მუშაობას. სულთანმა, მთავრობამ და მთელმა პარლამენტმა გულწრფელად და სამუდამოდ აღიარეს კონსტიტუცია და ახალ წესების შემოღების საჭიროება. და აი ამ ახალ კონსტიტუციონურ მმართველობის წყალობით, ერთს წლიწადში, მომაკვდავი ოსმალეთი გადიქცა ისეთ სახელმწიფოდ, რომელსაც უფლება აქვს სასოებით უცქიროს მომავალს. ოსმალეთის ფლოტი და ჯარი, ადმინისტრაცია და ფინანსები თან და თან ახლდება და უმჯობესდება, უმჯობესდება აგრეთვე განწყობილება სხვა და სხვა ერთა შორის. სომეხ-ოსმალთა ურთიერთობამ გაუძლო ისეთს განსაცდელს, როგორიც იყო ადანის ამბები; განწყობილება ბოლგარებთან საკმაოდ კარგია და იმედია, რომ კალაპოტში ჩადგება ოსმალთ-ბერძენთა ურთიერთობაც, თუ დიდი სახელმწიფოები მოახერხებენ კრიტის საქმის მოწესრიგებას იმნაირად, რომ არც ოსმალების ეროვნული გრძნობა შეურაცხჰყონ და არც კრიტელებისა.

თავისუფლება, ძლიერება, ეროვნებათა შორის კეთილი განწყობილება და კეთილდღეობა,—აი მიზანი, რომლისკენაც სწრაფის ნაბიჯით მიდის კონსტიტუციონური ოსმალეთი. („რ. ვ.")

### არეულობა ალბანიაში.

დიპლომატთა წრეები ჰფიქრობენ, რომ ალბანელების აჯანყებას არა აქვს ის სერიოზული მნიშვნელობა, რომელსაც მას აწერს ზოგიერთი გაზეთიო.

აბდულ-ჰამიდის დროს, ილდიზ-კიოსკის დამცველებად განსაკუთრებით ალბანელები იყვნენ. ამის წყალობით, იმ დროს ალბანელები ყოველნაირ უფლებით და უპირატესობით სარგებლობდნენ. ისინი ისე შეეჩვივნენ თავიანთ პრივილეგიებს, რომ როდესაც ოსმალეთის კონსტიტუციონურმა მთავრობამ მათ გადასახადები და ჯარისკაცები სთხოვა, ალბანელებმა გადასწყვიტეს—იარაღით დავიცვათ ჩვენი უფლებაო.

ოსმალელ პოლიტიკოსებს იმედი აქვთ, რომ ოსმალეთის მთავრობა ამ მოკლე ხანში დათრგუნავს აჯანყებას ალბანიაშიო.

## ოსმალეთ-საბერძნეთის დავა

### აფიცრების აჯანყება.

როგორც დეპეშებიდან უკვე ვიცით, საბერძნეთის აფიცრებმა აჯანყება მოახდინეს ათინაში. ეს ამბავი ეხლა უფრო დაწვრილებითაა აღწერილი გაზეთებში:

15 აგვისტოს, 3 ათასი ქვეითა ჯარისკაცი ცხენოსანი და მეზღვაური 8 ზარბაზნით ათინიდან ქალაქ გარედ გაემართა; მათ უფროსობდა პოლკოვნიკი ცორბასი. ერთი როტმისტრი დაეწია თავის ესკადრონს და უკან დაბრუნება ურჩია. მაგრამ იგი დაუყოვნებლივ დაატუსაღეს. 16 აგვისტოს, დილით, აჯანყებულ ჯართან მივიდა ათინის ქალაქის თავი მერკურისი. მეამბოხეთ თავიანთი მოთხოვნები ჩააბარეს მესკურისს და სთხოვეს მეფეს გადაეცითო. მერკურისმა 8 საათის ვადა ითხოვა.

მეორე დღეს იგი ისევ ჯართან დაბრუნდა და შეატყობინა, რომ რალის სამინისტრო სამსახურიდან გადადგა და მის მაგივრად დაინიშნა ახალი სამინისტრო, რომელიც ამ წამსვე ამინისტიას გამოაცხადებსო. მართლაც და ორიოდე საათის შემდეგ აჯანყებულ ჯარის ბანაკში მიიღეს ბრძანება, რომლითაც ამნისტია იყო გამოცხადებული. პოლკოვნიკმა ცორბასმა ხმა მაღლა წაუკითხა ეს ბრძანება ჯარს და ამის შემდეგ ჯარი ისევ ქალაქში დაბრუნდა.

აფიცრებმა შემდეგი მოთხოვნები წარუდგინეს მთავრობას: ორი წლის სამხედრო სამსახურის დაწესება; მშვიდობიანობის დროს ჯარის რიცხვი უნდა აღიოდეს 14 ათას კაცამდე, ხოლო ომის დროს 150 ათასამდე; სამეფო გვარეულობის პრინცები უნდა დაითხოვონ სამხედრო სამსახურიდან; საბერძნეთის ჯარის ინსტრუქტორებად დაინიშნოს უცხოელი გენერალი და აფიცრები; საინტენდანტოს უწყება გაუმჯობესდეს. ფლოტის განახლება; მეფეს მხოლოდ ერთი იახტა-ღა უნდა დარჩეს და სხვა.

## ბიბლიოგრაფია

**დოქტ. დ. უზნაძე.** „ვლადიმირ სოლოვიოვი: მისი თეორია შემეცნებისა და მეტაფიზიკა" (გერმანულად) ჰალლე, 1909 წ.

ეს შრომა ჩვენის ახალგაზრდა თანამემამულის ბ-ნ დიმიტრი უზნაძისა, ჩვენის აზრით, ერთ საუკეთესო გამოკვლევად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე რუსულ ფილოსოფიის შესახებ. საფუძვლად მას დისსერტაცია უძევს, რომლისთვისაც ჰალლეს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტს ბ-ნი უზნაძე „ფილოსოფიის დოქტორის" ხარისხით დაუჯილდოვებია. ავტორისთვის დამახასიათებელია არა მარტო ფართო ფილოსოფიური ცოდნა განსაკუთრებით გერმანელ კლასიკებისა (უწინარეს ყოვლისა—კანტისა და შელლინგის), არამედ ნათელი და სისტემატიური აზროვნება, მოხდენილ და დალაგებულ წერის ნიჭი და მშვენიერი გერმანული სტილი.

სოლოვიოვი იმიტომ ავირჩიეო,—ამბობს შესავალში ბ ნი უზნაძე,—რომ მას ყველაზე მეტი გავლენა აქვს თანამედროვე რუსულს ფილოსოფიაზეო. „მთელი რუსული ფილოსოფია, რომელიც მხოლოდ ეხლა იზობა, ატარებს, რასაკვირველია, იმ ხალხის ბეჭედს, რომელიც მასა ჰქმნის—ბეჭედს რუსულ სულისას. ეს უკანასკნელი კი სწორედ ჩვენმა ფილოსოფოსმა გამოხატა ყველაზე აშკარად. ღრმა სარწმუნოებრივობა ახასიათებს უწინარეს ყოვლისა რუსის სულს, რასაც ტოლსტოი, დოსტოევსკი და რუსულ ლიტერატურის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლებიც ამტკიცებენ. ამავე სარწმუნოებრივობას შევხვდებით ჩვენს ფილოსოფოსთანაც. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქმნება გავითვალისწინოთ რუსული სულის მიმდინარეობა მის უმნიშვნელოვანს მოაზროვნეს ნაწერებში, როგორც, საზოგადოდ, ინტერესს მოკლებული არაა ყურადღება მივაქციოთ ახალგაზრდა ხალხის განვითარებას."

ბ ნ უზნაძეს სოლოვიოვის ფილოსოფიიდან თავის დისსერტაციისთვის სწორედ უფრო ძნელი მხარე აურჩევია: მეტაფიზიკა და შემეცნების თეორია—ის დისციპლინები, რომელიც ავტორის აზრით დამთავრებული არაა თვით სოლოვიოვის მიერ; სისტემატიურად სოლოვიოვმა მხოლოდ თავისი ეთიკა დაამთავრა, ამბობს უზნაძე. მაგრამ მეტაფიზიკა, მისი აზრით, სწორედ ის სფერაა, რომელშიაც ყველაზე ნათლად იხატება ფილოსოფოსის მე: „ის შეკავშირებულია ავტორის შინაგან ხასიათთან. იმიტომ რომ, ჩვენა გვგონია, არ შევსცდებით, თუ ვიტყვით, რომ მეტაფიზიკა არის მხოლოდ შევსება და გაერთიანება იმ სინამდვილისა, რომელიც ადამიანის შემოფარგლულ მსოფლიო მხედველობას აუცილებლად დისჰარმონიულად და განსაზღვრულად ეჩვენება: ის არის ცნებათა პოეზია".

ჩვენ აქ არ შეგვიძლიან ამ საინტერესო შრომის მთელი შინაარსი დაახლოვებით მაინც გადმოვსცეთ: მას უფრო სპეციალური ხასიათი აქვს და დარწმუნებულნი ვართ სპეციალისტების ყურადღებასაც დაიმსახურებს. ის მეცნიერული კეთილსინიდისიერება-კი (ამ მხრივ ბ-ნი უზნაძე ნამდვილი მოსწავლეა გერმანელ მეცნიერებისა), რომელიც ამ წიგნის ყოველ სტრიქონიდან გამოსჭვივის, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი ახალგაზრდა, ნიჭიერი და მტოლნე თანამემამულე შესძლებს [illegible] თავის სამშობლოს.

## [illegible]

✦ **დასაბუთებაც ასეთი უნდა!** ვიატკის დროებით მუბერნატორ გრიგორიევს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს ბაკინსა და ლიპიაგოვისთვის ნება არ დაურთავს ამომრჩევლების კრება გაემართათ და მოხსენება წაეკითხათ. უარის თქმა გრიგორიევს ას დაუსაბუთებია: მე ძალიან პატივს ვცემ სახელმწიფო სათათბიროს, ისე ძალიან, რომ ვერც კი წარმომიდგენია, რომ პოლიციელმა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი შეაჩეროს და შენიშვნა მისცეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე მოხდება, თუ კრება შესდგაო.

✦ **ებრაელების მდგომარეობა.** „კიევსკ. ვესტ." შემდეგ ამბავს იუწყება: „ჩერნიგოვის ახლო-მახლო სოფლებში ებრაელების სამლოცველოებში გამოკრულია ჩერნიგოვის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორის ბ-ნ ვოიცეხოვსკის განკარგულება. ვოიცეხოვსკი ებრაელებს ატყობინებს, თუ სოფ. ნიკოლსკაიას ორ-კლასიან სასწავლებლის ახალ შენობისთვის საჭირო ფული არ გადაიხადეთ, თქვენ შვილებს, რიცხვით 113 ბავშვს, დაუყოვნებლივ გამოვრეკავთო". გასაკვირველია, რატომ ყურადღებას არ აქცევენ ამ გარემოებას, ეს ხომ ნამდვილი ძალ-დატანებაა და ცოტა არ იყოს შანტაჟისტობას მოგვაგონებსო, დასძენს გაზეთი.

✦ **ბლერიოს წინადადება.** „რანეე უტროს" სიტყვით ამ დღეებში პეტერბურგში ჩამოსულა გამოჩენილი ჰაერში მფრენავ ბლერიოს (ფრანგია, იგი ლამანზე გადაფრინდა) წარმომადგენელი. ბლერიოს წარმომადგენელს რუსეთის მთავრობისთვის წინადადება მიუცია, შეიძინეთ ჩვენი სისტემის ჰაეროპლანები, თვითეულ ჰაეროპლანს 5000 მანეთად გავაკეთებთო. რუსეთის მთავრობა და ბლერიოს წარმომადგენელი ვერ შეთანხმებულან.

✦ **თავისუფალი მსმენელები სემინარიებში.** სინოდის დადგენილებით მომავალ სამოსწავლო წლიდან სემინარიებში მიიღებენ თავისუფალ მსმენელებს. გარეშე პირებს თავისუფალ მსმენელებად მიიღებენ მეხუთე და მეექვსე კლასებში. თავისუფალი მსმენელები, როგორც სხვა მოწაფეები, უნდა დაემორჩილნენ სემინარიაში შემოღებულ წეს-რიგს.

✦ **პეტიცია.** „რეჩის" სიტყვით სინოდში მღვდლების ერთ ჯგუფს პეტიცია შეუტანია. მღვდლები შუამდგომლობენ, ქვრივ მღვდლებს ცოლის შერთვის ნება მიეცეთო.

✦ **ბულაცელის საჩივარი.** ნაფიც ვექილ ბულაცელს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" მთავარ საბჭოს სახელით სენატში

---

მღელვარე გულის კვნესა და ბოლოს ის საიმედო შუქი, რომელიც ჩაბნელებულს ცხოვრების ბოლოს თემის გადაწყვეტილებამ შიაყენა და სულმა თითქოს ნეტარებით თრთოლვა დაუწყო. „მოაგონდა თემის გარდაწყვეტილების ფეხით გადასახვა და ქმართან ძალად დასახლება; მწარე და სევდიანი დღეები, როდესაც ისე დასამცირებლად უნდა აღესრულებინა უხიაკი კაცის ბრძანება და მის მიზნის წინაშე თავი უნდა მოეხარა; მოაგონდა და გული ჩაეთუთქა, რადგანაც ეს მოგონებანი მომავალისთვისაც არაფერსა ჰპირდებოდა.

ონისესთან შეყრამ დაარწმუნა-კი, რომ ონისეს გული მას ეკუთვნოდა, მაგრამ ყველა უკუღმართი ძალები რომ იყვნენ მათის გრძნობების წინაამდეგ ამხედრებულნი, „რაღა იმედი უნდა ჰქონოდა მარტოდ-მარტო ონისეს ბრძოლისა, თუნდა შეყვარებულს გულის სატრფო ლომადაც წარმოედგინა?"

ეს ფიქრები მოუვიდა თავში და გულის სევდამ ჯახრაკად მოუჭირა, მწარედ კვნესა დააწყებინა; მაყვალამ იგრძნო რომ მათი შეყრა უბადურების მეტს არას მოასწავებდა და წუთის სიტკბოების გრძნობამ მხოლოდ ძველი ჭრილობანი, ძველი იარები აუშალა. ისა სწუხდა ონისესთან შეყრას, სწყევლიდა და ჰკრულავდა იმ წუთს, როდესაც ამ „ბიჭაშავს" გულსთან ნამგალობის წადილი მოჰსვლოდა და ნახევარს სიცოცხლეს მისცემდა, რომ ეს სადამო იმის ცხოვრებიდამ ამორეცხილიყო.

„ქალმა გადაწყვიტა ყოველი საშუალება ეხმარება, რომ ონისე, რაც შეიძლებოდა ჩქარა დაევიწყნა, დაჰშორებოდა და ისიც დაერწმუნებინა, რომ აღარ უყვარს"*).

და აკი ასეც მოიქცა, პირველივე მათი შეხვედრა ამის შემდეგ მით გათავდა, რომ მაყვალამ ონისეს გადაჭრილი უარი უთხრა, „მანდილს ვერ მოვიხდიო" და ონისესაც თავგანწირული გადაწყვეტილება მიაღებინა. „ბედმა ცხოს მისცა შენი თავი და მეც იმას მოვეკვლევინებიო" მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა მაყვალას გადაწყვეტილებას ამ დიდებულ გრძნობის წინაშე. იგი ისეთივე მონა იყო სიყვარულისა, როგორც სიკვდილ-სიცოცხლისა და მისი გაქცევა, თავიდან მოშორება ისევე არ შეეძლო, როგორც სიკვდილისა.

გაიარა დღემ, მაგრამ მაყვალა წარსულის შემთხვევით ისევ ისე გაბრუებაში იყო, გონება ვერ მოეკრიბა, არ ესმოდა, რას ელოდა, რას ადგა და რა უნდოდა. ერთს დილით ის წამოდგა და განსაკუთრებით სიმძიმე იგრძნო. სული ეხუთებოდა, გული მოუსვენრად ტოკავდა და თვით ფიქრიც კი შეჰგუბებოდა და მოძრაობა აღარ ჰქონდა. გული უცემდა წყნარად და ძალა-მოკლებულად; ძარღვები მოსდუნებოდა და თითქოს მოძრაობის თვისება დაეკარგა; თვალებში სიცოცხლე აღარ ეტყობოდა და დახრილი უსაგნოდ მიწას შესჩერებოდა. გაცრეცილი, სიცოცხლეს მოკლებული, გახევებული იდგა ერთს ადგილს და ქვისაგან გამოჭრილს უსულო საგანს დამსგავსებოდა. მხოლოდ ათასში ერთხელ შეცივების ჟრიამულს ჰგრძნობდა და ოდნავ გათრთოლდებოდა ხოლმე.

„ერთბაშად ყურებში რაღამაც ხმაურობა დაუწყო, თითქოს მდინარის მოძრაობის ხუილი არისო და გონება თითქოს გაუნათლდა, აშკარად იგრძნო, რომ გულიდან რაღაცა მწარე და უსიამოვნო დაიძრა, რომელსაც თანდათან სითბოება და მოძრაობა ემატებოდა; მის მოძრაობასთან ერთად მოგონებანი უცხოვლდებოდა და გულის გრძნობიერება უბრუნდებოდა. ქალმა ერთბაშად, ძალზედ ამოისუნთქა, შეჰკრთა და დაბლა დაშვებული თვალები მაღლა აიღო, კიდევ წუთი ასეთი—„მაშ დავიღუპე?!. არა, ღვთის მადლმა, არა მე მოვკვდები და ონისე კი იცოცხლებს"!

ამ სიტყვებზედ გიჟსავით გამოვარდა გარედ და გარბოდა იქითკენ, საითკენაც ონისეს წასვლა ეგულებოდა.

„ქალი მიისწრაფოდა შეუყენებლივ, აღშფოთებული და სახეზედ აღმური გასდიოდა. თავს შალი გადავარდნოდა და გაშლილი თმები ქარს გაეწეწა.

„ხანდისხან ნაწყვეტ-ნაწყვეტად და გადაუბმელად წამოიძახებდა: „ონისე თავს შეაკლავს. ონისე მოკვდება... მე რაღად მინდა სიცოცხლე". და ისე რიგად ამოიკვნესებდა ხოლმე, რომ კაცი იტყოდა; გული თან ამოაყოლაო.

„მაყვალას რამდენსამე დღის წინად შეეძლო კიდევ სატრფო, საყვარელი კაცი გაებრუნებინა, შეეძლო დაერწმუნებინა, რომ არ უყვარდა, მოეხერხებინა პირდაპირ ეყურებინა იმის ტანჯვისა და ტკივილისთვის და, თუმცა ეს ყველა ქალისთვის მეტად მძიმე სატანჯავი, მეტად მძიმე ასატანი იყო, მაგრამ ბრძოლიდან მაინც გამარჯვებული გამოსულიყო. ეხლა, როდესაც ონისეს მოჰშორდა, როდესაც სატრფოსთან განშორების სიმწვავე იგრძნო—გაქვავებული გული მოულბა, გონება დაჰმორჩილდა გრძნობას და სულმა **იმისკენ გაიბრძოლა, რომელიც ქალის არსებობის უმთავრესს საგანს შეადგენდა.***)

ონისეც ასეთს გაწამებაშია და ასეთსავე ტანჯვაში. ქალის სასტიკმა გარდაწყვეტილებამ იგი გიჟს, ველად გავარდნილს დაამსგავსა.

წარსულის წუთების სიტკბოება მეტად ტკბილი და ძლიერი იყო, რომ არამც თუ ამ ნეტარების კარგა ხანს მომლოდინე, არამედ პირველად შეხვედრიც არ დაეტკბო, არ მოეხიბლა, და შეტოკებული გული აღარ დაესვენებინა. გონებას ეხვეოდა მეტის-მეტი ნათელი და ოცნება კი უხატავდა გაბრწყინვებულს სურათებს; მკაცრის ყინვის შემდეგ ერთბაშად და მოულოდნელად დამყვავებელი ტკბილი სითბო ეგრძნო და ერთბაშად იმდენი სანუგეშო იმედები გაჰღვიძებოდა, რომ აზროვნობას, გარდა მაყვალასთან შეთამაშებისა, მასთან ბედნიერების წარმოდგენისა, ადარაფრისთვის არ ეცალა.

მართალია, მოხევეს გახურებულს გონებაში ათასში ერთხელ ელვასავით აზრი გაურბენდა, რომ გულსთან საზუმრო ბრძოლა არ მოუნდებოდა, მაგრამ ეს ფიქრი იყო წუთისა, რომელიც ისევ ისე სწრაფად ჰქრებოდა, როგორც იბადებოდა; ამ ფიქრს სწრაფად შესცვლიდა მაყვალასთან შეერთების იმედი და ეს საკმარისი იყო წელში კამართულს ყოველისფერი გადაჰვიწყებოდა, თავი მაღლად აედო და გამხნევებულს, არამც თუ მარტოკა გულა, არამედ მთელი ქვეყანა ბრძოლად გამოეწვია. ამ წუთებში ონისე სატრფოს მფლობელადა ჰგრძნობდა თავის თავს და ეს საკმარისი იყო, რომ გულს გამარჯვების ბუკისთვის ეკრა და დონე გაათებული ეგრძნო; მაყვალა მისი იყო და თავს ქვეყნის მფლობელად სთვლიდა! ვინ იქმნებოდა ისეთი თავხედი, რომ შესცილებოდა?! შეყვარებულს ასეთი ფიქრები მოსდიოდა და სიცოცხლეს ათას გვარად უფერადებდა; ყოველს საგანს ბუნებაში ფასი დასდებოდა და ათასის მხრით საალერსოდ, დამატკბობელად ეხატებოდა; ალერსის დროს შეყვარებული სატრფოს სახელოვეს ითხოვდა, მაგრამ დღეები გადიოდა ოცნებაში და სატრფოს კი ვერსად შეხვედრიყო, ვერსად მიეალერსებოდა და გადიმებული გული მოუთმენლად გაიძახოდა, „ცოლი მინდა, ცოლთან შეერთება მწადის!"

იძახდა და არ ისვენებდა: მოთმინებას თან-და-თან ძალა ელეოდა და მისი ძახილი მალე შეუყენებელ, ადუღებულს და მჩქეფარეს წადილად გარდაიქცა:— „სად ვნახო, როდისა, როგორ?—მეათასედ იმეორებდა ონისე.

ონისე ანგარიშს უწევდა მაყვალას მდგომარეობასაც, მისი სახელის გატეხა ეძნელებოდა, თემის ჩვეულების დარღვევაც, არ იყო მისთვის ადვილი, მაგრამ თანდათან „ქალის შეყრის წადილმა ამ ფიქრებსაც დასძლია" და ეხლა მარტო იმაზედ-ღა ჰფიქრობდა, რომ სადმე ენახა მაყვალა; მისი ალერსი თვით წადილად გადაექცა, რომ ყველაფერი გადაივიწყა და მარტო ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შეუდგა: „დღეს თუ ხვალ ხომ ჩემი უნდა იქმნას, იფიქრა იმან და ამას მოჰყვა შემდეგი გადაწყვეტილება: „მაშ რაი ბედენაა, სადაც უნდა შევხვდე?"

გინდათ კიდევ ერთი მაგალითი იმისი, რანაირს მონაწილეობას იღებს ბუნება ადამიანის სულის მოძრაობაში და რანაირად მოქმედობს ადამიანის ფსიხიკაზე ბუნების მოვლენები? წაიკითხეთ ეს ნაწყვეტები: ონისემ გადასწყვიტა, რაც უნდა გახდომოდა, მაყვალა დაესაკუთრებია და გასწია თავისის აზრის განსახორციელებლად.

მთვარე ის იყო მთის წვერითგან ამოშუქებულიყო და დრუბლებს ნახევრად შეჰფარებოდა. ღამის მნათობის მოსაშიეთ, რაკი სატრფოს მიახლოვება ეგრძნოთ, მორცხვად შეწითლებულიყვნენ და მნათობისთვის გული გადაეშალათ, რომ ჩაბნელებული სახე სხივით გაეშუქებინათ. წყნარი ნიავი ნაზად მოჰქროდა და სიბრთხილით არხევდა მთის კალთებს; სურნელებას სტაცებდა და მიდამოს ყოსვის დამატკბობელის ჰაერით ავსებდა. მდინარე ამ ადგილს მდორედ მიდიოდა და, გამედგრებულის ღრიალის მაგივრად, წყნარად და ტკბილად მოდუდუნებდა. ნაპირებზედ იდუმალად შემოჩქეფებული ტალღები უკან იდუმალადვე მიქანავდა და წვრილის კენჭებითგან ჩაწურული წვეთები, გრძნობით ადსავსეს ჩუხჩუხით კეკლუცად ესალმებოდა.

**ბუნება ონისეს მდგომარეობას უფრო ხელს უმართავდა, თითქოს განგებ ამ ღამეს, ისე მოწყობილიყო, რომ გაბრძოლებულის გულისთვის წადილის გამაღვიძებელი ნექტარი მეტად გაეძლიერებინა.**

**მოხევემ ძალზედ ამოისუნთქა და წმინდის, სურნელოვანის ჰაერის მიკარებასთან ერთად, გულმაც მეტად გაიფართხალა.** მოიხადა ქუდი და შუბლი გამაგრილებელს ჰაერს მიუშვირა, მაგრამ ადუღებული სისხლი მეტად შეჰხურებოდა, რომ შვება მისცემოდა, და ჩქარის სიარულით თითქმის სირბილით გულას სახლისკენ გასწია. ონისეს სული შესტაცა, გულმა ძგერა მოუხშირა და თითის წვერებზედ შემდგარი, გაძაბული წინ წყნარად მიიპარებოდა. თვალწინ ეხატებოდა სოფლისგან განცალკევებული სახლი გულასი, სადაც ამდენი ხნის მოუსვენრობის მიზეზი იმყოფებოდა.

ადგზნებული თვალებით, შეწითლებული ლოყებით, ხმა გაკმენდილი ონისე, ისეთის სიფრთხილით და მოწიწებით მიდიოდა ამ სახლისკენ, თითქოს უწმინდესს ადგილს გულ-მხურვალე მლოცველი უახლოვდებოდა; ყოველი ბიჯის გადადგმა უახლოვებდა საგანს და ყოველი მიახლოვება კი სანეტარო მოლოდინით აცახცახებდა. მოხევემ მიაღწია დერეფანს და შესდგა, რომ სული მოექცია, რადგანაც გული ისე მაგრად უცემდა, რომ ძალზედ გაგნებულის ხელით ოდნავაც ვერ მაყუჩებინა.

აჰა, რანაირის თანდათანობით, რა დაწვრილებით მოგვითხრობს ავტორი იმ ადამიანის სულის და გულის ვითარებას, რომელმაც ბოლოს

*) „მთძღვარი", გვ. 60—62.

*) „მოძღვარი", გვ. 76—79.

სარჩივარი შეუტანია, შინაგან საქმეთა მინისტრი უკანონოდ გვექცევაო.

**პურიშკევიჩი.** „ცნობილ“ პურიშკევიჩს სამართალში მიუცია სრულიად რუსეთის ქალთა კრების თავმჯდომარედ ნამყოფი ქ-ნი ფილოსოფოვა. პურიშკევიჩი ფილოსოფოვას რევოლიუციონერობას სწამებს, ქალთა კრების დროს სარევოლიუციო ორგანიზაციებისთვის ფული მოაგროვაო.

**სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნები პეტერბურგში.** ამ მოკლე ხანში პეტერბურგმა, კოლიუბაკინის მაგიერ, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი უნდა ამოირჩიოს. პარტიები უკვე შესდგომიან წინასწარ საარჩევნო მუშაობას. კადეტები წამოაყენებენ მიწათ-მოქმედების მინისტრად ვამყოფის კუტლერის კანდიდატურას, სოციალ-დემოკრატები ნაფიც ვექილ სოკოლოვისას, სახალხო სოციალისტები სოციალ-დემოკრატების კანდიდატს დაუჭერენ მხარს, ოქტომბრისტებსაც განუზრახავთ ცალკე კანდიდატურის წამოყენება, მაგრამ გაზეთების სიტყვით ოქტომბრისტები ვერ გაიყვანენ თავიანთ კანდიდატს.

**„ბეჭვდითი სიტყვის თავისუფლება“.** „ნოვ. ვრ.“ იუწყება, ბეჭვდითი სიტყვის მთავარ სამმართველომ განკარგულება მოახდინა, რუსეთში აკრძალულია იტალიანური ჟურნალის „ასინოს“ გავრცელება ეს ჟურნალი ქალაქ რომში გამოდის. ამას გარდა ბეჭვდითი სიტყვის მთავარ სამართველოს განკარგულებით, რუსეთში აკრძალულია იმ ამერიკულ გაზეთების და ჟურნალების გავრცელება, რომლებიც ლიტვინურ ენაზე გამოდიან.

**პოლიტიკური გადასახლებულები.** შინაგან საქმეთა მინისტრს თავის 1910 წლის ბიუჯეტში შეუტანია 243,360 მანეთი. ეს ფული უნდა მოხმარდეს 825 პოლიციელებს, რომლებიც მოვალენი იქნებიან მარტო პოლიტიკურ გადასახლებულებს ადევნონ თვალ-ყური.

**მოსკოვის უნივერსიტ.** „კასპ“ მოსკოვიდან დეპეშითატყობინებენ: ადგილობრივ უნივერსიტეტში, სხვათა შორის, მიიღეს 60 ებრაელი. ებრაელებმა სწავლის ფულიც კი წარუდგინეს. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ სრულიად მოულოდნელად საერო განათლების მინისტრისგან ბრძანება მიიღო, ახლად მიღებული ებრაელები დაითხოვეთო. თავის განკარგულებას საერო განათლების მინისტრი იმით ასაბუთებს, რომ უნივერსიტეტში უკვე მიღებულია 3 პროც. ნორმა და კანონით აღარ შეიძლება ებრაელების მიღება.

**სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება.** სატახტო ქალაქის გაზეთები ირწმუნებიან, საბოლოოდ გადასწყდა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება 1910 წლის იანვარში მოიწვიონ. საეკლესიო კრება მოსკოვში მოხდება.

**სტუდენტების ბიურო ჟენევაში.** „ნოვ. რუსი“ იუწყება, რადგან ამ წელს ჟენევის უნივერსიტეტს რუსეთიდან ბევრი ახალგაზრდობა მიაწყდა და უმთავრესად ქალიშვილები, ამიტომ „რუს სტუდენტების საზოგადოებამ“ შოაწყო ბიურო, რომელიც სრულიად უფასოდ მიაწვდის ცნობებს იმათ, ვისაც ჟენევის უნივერსიტეტში შესვლა უნდათ. წერილობით და პირადად უნდა მიმართონ ამ ადრესით: შვეიცარია, Geneve, Rue dé Carauge, 2, Librairié du Peuple.

ამავე გაზეთის სიტყვით ჟენევის უნივერსიტეტში 500 ქალს შეუტანია თხოვნა. რა თქმა უნდა ჟენევის უნივერსიტეტში ყველას ვერ მიიღებენ და ბევრს სხვა უნივერსიტეტში წასვლა დასჭირდებათ, ან იძულებული იქნებიან უკან, სამშობლოში დაბრუნდნენ.

**ჟუჩენკო.** ჟურნალ „ბილოეს“ რედაქტორმა ბურცევმა გაზეთ „მატენ“-ში, სხვათა შორის გამოაქვეყნა, რომ ქ-ნი ჟუჩენკო აგენტი—პროვოკატორია. ჟუჩენკო სოციალისტ-რევოლიუციონერებში მუშაობს. „რუსკ. სლოვო“-ში დაბეჭდილი ჟუჩენკოს ნალაპარაკევი. მოვიყვანთ სიტყვა-სიტყვით ჟუჩენკოს ნალაპარაკევს: „მე პროტესტს ვაცხადებ იმის წინააღმდეგ, ვითომ მე პროვოკატორი ვყოფილიყავ, ან ვიყო, ჩემ დღეში პროვოკატორობა არ ჩამიდენია. მე მარტო ვჯაშუშობდი. უნდა გითხრათ, რომ ძალიან მაკვირვებდა სოციალისტ-რევოლიუციონერების ცენტრალურ კომიტეტის საქციელი. ყველას ბრმად უჯერებდნენ და ენდობოდნენ. როდესაც ბურცევმა ჩემი მოქმედება გამოაცხადა, ცენტრალურ კომიტეტის წევრებმა სასაცილოდ აიგდეს, სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიაში შესვლისას მე უკვე დამცველ პოლიციის წევრი ვიყავ. ზუბატოვმა და სემიაკინმა პარტიებში სამუშაოდ ერთი წელიწადი მამზადეს. მე წინდაწინვე ვიცოდი აზეფის ორპირობა, აზეფმა კი ამის და არც ჩემ შესახებ არაფერი არა იცოდა. მე ყველა იმ აგენტებს ვიცნობ, რომლებიც სოციალისტ-რევოლიუციონერებში მუშაობენ და გარწმუნებთ, რომ თვითეულ ათ სოციალისტ-რევოლიუციონერზე 3 აგენტი მიდის. შარშან, როდესაც ლონდონის კონგრესზე აზეფთან ერთად სხვა აგენტებიც ვნახე და აზეფის პროვაკატორულ სიტყვებს ყურს ვუგდებდი, კინაღამ დავიყვირე:

ბ-ნებო მე ჯაშუში ვარ, აზეფი გამყიდველია, გაახილეთ თვალები!

არ ვიცი, რატომ სისრულეში არ მოვიყვანე ჩემი სურვილი. მეშინოდა გიჟი არ დამიძახონ მეთქი.

დუსიროვის მოკვლის განზრახვა ჩემი ბრალია, რადგან პოლიციამ სწორე ცნობები ვერ მივაწვდინე, თუმცა ტერორისტები დაურიდებლად ლაყბობდნენ ამაზე.

ფრუმკინა მე გავეცი მე თვითონ დავაკერე მის კაბას ჯიბე, რევოლვერის ჩასადებად. უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში მოსკოვში ვცხოვრობდი. ამ მოკლე ხანში ბურცევმა წერილა მომწერა. წინადადებას მაძლევდა პარიზში ჩამოდიო. ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მხრივ წინადადება მომცა, ჩვენ მხარეზე გადმოდიოდა აგენტი—პროვოკატორები გაეციო, მაგრამ მე უარი შევუთვალე. სიკვდილით ვერავინ ვერ შემაშინებს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მოკვლა შეუძლიანთ, მაგრამ არ მეშინიან, რადგან როდესაც პარტიაში შევდიოდი, ესეც სახეში მქონდა. დამალვით არ დავიმალები, უფრო იმიტომ, რომ არა სთქვან შეეშინდაო. სინდისი არ მაწუხებს, რადგან ჩემი რწმენის თანახმად და ფულისთვის ვმოქმედობდი. ერთად ერთი რაშიც ვნანობ, ეს ის არის, რომ არ უნდა გავთხოვილიყავ. ქმარს დიდი ხანია გავეყარე და ეხლა თუ გაიგებს და, რომ ცოცხალი ვარო.

# უცხოეთი

**იაპონია-ჩინეთის შეთანხმება.**

იაპონიის-ჩინეთის სამხედრო შეთანხმებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პარიზელ დიპლომატთა წრეებში. ამ შეთანხმებას მეტად დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას აძლევენ.

იაპონიისა და ჩინეთის ელჩებმა პარიზში არავითარი ცნობა არ მისცეს კორესპონდენტებს ამ შეთანხმების შესახებ.

**ჩინელები რუსებს დასცემიან.**

17 აგვისტოს მდინარე სუნგარის ნაპირებზე, ხარბინიდან 4 ვერსტის მანძილზე, ახალი შეტაკება მოსვლიათ რუსებსა და ჩინელებს. რუსის გემი „ოდონეც“-ი, ხარბინს ახლო, დაეჯახა თურმე ჩინელის ნავსა. თუმცა გემმა სრულებით არ დააზიანა ნავი, მაგრამ ჩინელმა ჯარის კაცებმა მაინც ჯერ სროლა დაუწყეს რუსის გემს, მერე ზედ აცვივდნენ, თოფის კონდახებით საშინლად სცემეს გემზე მოსამსახურეებს, დაიჭირეს გემის უფროსი ბოცმანი და თავიანთ ნავის ქვედა სართულში ჩასვეს, მერე რუსის ჯარის კაცებმა გაანთავისუფლეს ბოცმანი. (რ, ს.)

---

სატრფო სიცოცხლეს გამოსალმა, რაკი თავისთვის დაკარგულად მიიჩნია.

„მე მიყვარდა მაყვალაი—აღიარებს ონისე თემის წინაშე თავის თავზარდამცემ ცდას—მიყვარდა,—ვფიქრობდი, იმედი მქონდა ბედნიერება მეწვევა მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი... **გული გაგიუდა, გაბრაზდა, სისხლი ამერია... მაყვალაი ცხოსთვის ვერ დავთმე და მოვკალ... მეგონა მოვკლავ, მეთქი, და მოვისვენებ მაინც,** მაგრამ უფალი დიდი ყოფილა!... დღენი მომეწამლა, სიცოცხლე გამიშავდა და გულს მეტი შხამი ჩაესხა... დავდიოდი, ვჭამდი, ვსვამდი, მეძინა, თუ მეღვიძა,—ვერ გამეგო... ყველა შავად, ნაღვლიანად და მწარედ მეჩვენებოდის... წყალი, წყალ ტიალას რაღამ შეუცვალა გემო?! მზისთვის ვერ შემიცქერია, მთვარესთვის ვერ მიმიხედნია, მრცხვენის... მრცხვენოდის... ჩემი ჩრდილის დანახვაც კი მრცხვენოდის“*)...

და ამ ფაქტის აღწერით ავტორმა სულის თვით საიდუმლო კუნჭულები გაგვინათლა და ადამიანის არსების ბნელი სამეფო სოაცარის ჯადოსნობით თვალწინ გადაგვიშალა.

ასეთივე საუცხოვოა სულთის და ციცია განწყობილება, სადაც ციცია ორ ცეცხლ-შუაა და ნათლად თავის თავისთვისაც ვერ გაურკვევია, სულთი ძმად მიაჩნია, თუ მისი რაინდული გრძნობა მასაც ხიბლავს. მთელი ფურცლები ყაზბეგის საუკეთესო მოთხრობისა ადამიანის სულის მოვლენის განვითარების მშვენიერი და მომხიბვლელი სურათია.

ყაზბეგმა ერთი მეტად ძნელი ხელოვნებაც გამოიჩინა. მან ხალხის ბრბოს ფსიხოლოგია საუცხოვოდ დაგვიხასიათა ხოლმე და ამით იგი იშვიათ მწერალთ გვერდში უნდა ამოუყენოთ (ზოლას, ტოლსტოის). გადაათვალიერეთ მისი აღწერილობა თემის ყრილობებისა, თემის გადაწყვეტილებისა და ის გრძნობები მორჩილებისა და თაყვანისცემისა, რომლითაც გაღლენთილია ხალხი მისი წმიდათა წმიდის, თემოსნობის შესახებ. აი როგორ ეკვრება ხალხი თემის ყრილობის გარდაწყვეტილებას.

ომენ! გასმა ამ სიტყვებზედ ხალხის ხმა და **გრგვინვასავით შეარყია ჰაერი. ძლევა მოსილი დიდება ისმოდა ამ გადაწყვეტილებაში.** ყველა გრძნობდა **რაღაც იდუმალებას,** რაღაც ძალას, რომელსაც **ანგარიშ მიუცემლად ემორჩილებოდა, ემონებოდა და ყმად უხდებოდა***).

ძალა თემოსნობისა, ძლიერება ხალხის საერთო ლხინისა და ლოცვისა, ერთგვარად დიდებული იყო მის წინაშე. ხალხი კი არა, ბუნებაც კი თავს იხრიდა. როცა ხალხს ამწყალობებდნენ და ხევის ბერი დაიწყებდა თავისს „სწალობდეს“,

„ჰაერი დაიფარებოდა გრგვინასავით ხალხის ძლიერის ხმით; **ამა ხმას მოჰკრავდა ხელს სუბუქი ნიავი, გაიტაცებდა ზრიალით და ყოველ მთას, ყოველ ხეობას, ყოველ კენჭსაც კი აგონებდა“** (იქვე გვ. 270).

ან და კიდევ.

ხალხი შეგროვდა ნიშის მახლობის გარეშემო და მოუთმენლად უყურებდა. შეიძრნენ დროშები და ურიცხვი ზარების ყრიალი გამეფრდა. მას მოჰყვა უფროსის დეკანოზის ხმა: „სმენა იყოს და გაგონება“ და **ხალხი გაჯგუფდა, გაწამდა და სული განაბა.** თვით ძუძუ-მწოვარა ბავშვების ჩხავილიც კი აღარსად მოისმოდა, თუმცა სადღესასწაულოდ მრავალი მეეყვანათ... **ჰაერიც შესდგა და შეგუბდა, თითქოს იგრძნო,** რა სამწუხარო ამბავიც უნდა გაეგონა თემობას, **მზეს დარცხვა და იქაც მყოფს ღრუბელს** შეეფარა, რომ ხალხის მწარე დღე არ ენახა“.*)

აქ ყაზბეგი, ასე ვსთქვათ, ხალხის გრძნობებს გვიჩვენებს, როცა ის დაწყნარებულია და ხევისბერის სიტყვას ემყრობა ღანაგრძნობით. ავტორი სხვა მომენტებსაც გვიხატავს ხალხის ფსიხოლოგიისას. გვიჩვენებს გაჯავრებულს ბრბოს, როცა მას ღირსებას შეურაცყოფენ, მაგ., როცა გელა თემის „ყრილობის დროს, შემოხვეწებულ“ ონისეს თვალწინ მოუკლავს. ამ დროს „ხალხი შეირყა, გაქანდა იმ მხრისკენ, მოეხვია მაჩხუბართ და შეჯგუფდა, ბურთად შეიკრა. რამდენსამე წუთს ასე გაუშლელად ღელავდა გამოურკვეველს მოძრაობაში ტალღასავით მიქან-მოქანავდა, გაიშალა, გაიფანტა და ხმა-მაღლად ყვირილი დაიწყო: „სიკვდილი მოღალატეს, სიკვდილი!... მოვკლათ, დავახრჩოთ, ჩავქოლოთ! იძახდა ხალხი და მისი ხმა ჰაერში ცის გრგვინვად გაისმოდა. ყველა მზად იყო მონაწილეობა მიეღო ამ კაცის წვალებაში და ყველა ცდილობდა, რომ უმეტესი სატანჯავი მეეგონა მისთვის“. ასეთის სისასტიკით ექცევა ეს ხალხი „თემის მოღალატეს“ მაშინ, როდესაც რამოდენიმე წუთის წინ არა ჩვეულებრივ გულჩვილობას გამოიჩენდა და ჭეშმარიტად ანგელოზურის ნუგეშინის ცემით მოეპყრა ონისეს, რომელიც თემის წინაშე მუხლ-მოყრილი, ძლივს იყო ცრემლის ფრქვევით მოვიდა. მოღალატეს შესახებ მისი გარდაწყვეტილებაა: „ჩავქოლოთ, ჩავქოლოთ! იგრიალა ხალხმა და ხელში ქვა-აღებული მიეხვია გელას. ავარდა მტვერი ხალხის მოძრაობისაგან და ყოველისფერი დაფარა, მისგან რაღაცა დაყრუებული გრგვინვა, გრიალი, ქვების ჩახი-ჩუხი მოისმოდა. ბოლოს ყოველისფერი შესწყდა, გაყუჩდა და გაჩქურდა, ხალხი გამოვიდა ავარდნილის კორიანტელისგან, რომელიც ჯერ ჰაერში ტრიალებდა და იმ ცოდვის ადგილისაკენ აღარ მიუხედნია, ისე გასწია შინისკენ, დარწმუნებული რომ თავისი ვალი აღასრულა“.

**კიტა აბაშიძე.**

(შემდეგი იქნება)

* „მოძღვარი“, გვ. 153.

*) „მოძღვარი“ გვ. 270, 277.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას ქ. შორის წ.-კ. საზოგადოების სენაკის განყოფილების ანგარიშები:

1909 წ. 6 თებერვალს გამართულ წარმოდგენიდან შემოვიდა 168 მ. 80 კ. დაიხარჯა: მარკები—8 მ. 35 კ., აფიშები და ბილეთები—6 მ., დურგალს—2 მ., ღვინო ბუფეტისთვის—3 მ. 50 კ., პარიკ-მახერს 6 მანეთი და 50 კ., მსახური და განათება—5 მ., წრვილმანი—6 მ. 25 კ., სცენის მოყვარეთა საგზაო ფოთიდან და ძველი სენაკიდან—32 მ. 52 კ. სულ ხარჯი 70 მ. 12 კ. წმინდა შემოსავალი წარმოდგენისა 98 მ. 68 კ.

29 ივნისს გამართულ სეირნობა-ალეგრის შემოსავალი: ბალში შესასვლელ ბილეთების—121 მ. 8 კ., ლატარეია-ალეგრის—386 მ. 94 კ., ნაღდ ფულად შემოწირული სხვა და სხვა პირთაგან—42 მ. 80 კ., ბ. სეხონის მიერ მოგებულ და დატოვებულ კამეჩის ფასი—21 მ. სულ შემოსავალი 571 მ. 82 კ. ხარჯი: რაკეტები და ბენგალის ცეცხლი—15 მან., ალეგრის ნებართვის მისაღებად გაწეული ხარჯი—მგზავრობის, ტელეგრამების და მარკების—29 მ. 5 კ., 40 ადლი წითელ შალის ფასი—5 მან., ქაღალდის ფარნები—3 მან; ლურსმანი, სანთელი, რგოლები, მსახური და ნივთების გადმოტანა—9 მ. 12 კ. სულ ხარჯი 61 მ. 32 კ. წმინდა შემოსავალი ალეგრიდან 510 მ. 50 კ.

ქ-ნ ოლღა ხოფერიას მიერ წარმოდგენილი სხვა და სხვა პირთაგან შეკრებილი 279 მ. 65 კ. სრულიად კი შემოსავალი, გარდა საწევრო გადასახადისა, 888 მ. 83 კ.

საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობა სასიხარულო მოვალეობად სთვლის უღრმესი მადლობა შესწიროს ყველას, რომელთაც არ დაიშურეს ზნეობრივი, ნივთიერი და ფიზიკური დახმარება ამ კეთილ საქმისათვის, ხოლო რადგან გაზეთის საშუალებით მოუხერხებელია სათითაოდ აღნიშვნა შემომწირველებისა, რომელთა რიცხვი 1000 აჭარბებს, გამგეობა უმორჩილესად სთხოვს შეწირულებათა შემკრებთ ქუთაისში ქ-ნ როზა იაკობის ასულს ბერიძისას, ფოთში ქ-ნ კახიანს და სავინასას. აბაშაში ქ-ნთ გეგენავასას და კანდელაკისას და ახალ სენაკში ქ-ნთ თოფურიძისას, ჭანტურიასას და სხვა აქტიურად დამხმარეთ და ქ-ნთ ა. ჭანტურიას და ნ. ჯიჯიხის მიიღონ გულითადი მადლობა გამგეობისა და ვადასცენ წვლილის გამღებთ, რომ მათი შემოწირულება მადლობით იქნა მიღებული და აღნიშნულია გამგეობის წიგნებში.

გამგეობა: **ლუკა** (გვარი ვერ გავარჩიეთ). **ოლღა ხოფერიასა** მღვ. **გიორგი გამზარდია.** **ნინო თევზაძე.**

მდივანი (გვარი ვერ გავარჩიეთ).

---

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ პატივი დაგვდვოთ და მოათავსოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში სია ვანის უფასო სამკითხველოს წიგნაკების შემომწირველთა მადლობას უძღვნით შემდეგ პირებს:

გ. ჩხაიძეს, 28 ცალი წიგნაკი ღირებული 3 მ. 20 კ., გ. მუმლაძეს, 14 ცალ., —2 მ. 65 კ., მარო თუთაშვილს, 14 ც., —3 მ. 75 კ., ალექსანდრე ხანდირაძეს, 15 ც. ,წ. შტემპელი კრასკით, —4 მ. 60 კ., იოსებ ლომინეიშვილს, 11 ც.,—1 მ. 60 კ., იოსებ გუგუნავას, 6 ც.,—1 მ. 10 კ., ბარონ ბიბინეიშვილს, 16 ც.,—1 მ. 38 კ., ელენე ნიკოლეიშვილი ჯაიანის ასულს, 10 ც.,—5 მ.

ვანის უფასო სამკითხველოს გამგენი **ა. ჩიხუნაშვილი, ლ. ჯინორიძე** და **გიორგი ნამჭეიშვილი.**

---

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ პატარა წერილს. 26 ივლისს ჩვენ და კიდევ რამდენიმე ყმაწვილი, რომელნიც ამ ჟამად აქ არ იმყოფებიან, ვისხედით ბელაგორის ბუფეტში. ზოგი ჩვენგანი გაზეთ „დროებას“ კითხულობდა და ზოგი ყურს უგდებდა. ამ დროს შემოვიდა ბუფეტში ბ-ნი აფ. ებანოიძე და მოითხოვა გაზეთი „ჩანგი“. პასუხად მიიღო, რომ აქ „დროება“ გვაქვს და თუ გნებავთ, მიირთვითო. ასეთ პასუხის შემდეგ ბ-ნმა აფ. ებანოიძემ წამოიძახა, ნუ თუ მთელ ბელაგორში ერთი მემარცხენე გაზეთი არ მოიპოვებაო. ეს გარემოება ბ-ნ „რისხვას“ ჰქონდა აღნიშნული „დროების“ მე-170 ნომერში. ეხლა ბ-ნი ა. ებანოიძე „ჩანგის“ მე-33 ნომერში სწერს, რომ რისხვა სტყუის, რადგან არაფერი ამისი მგზავსი არ მითქვამსო. ჩვენ ყველანი ამ ფაქტის მოწამენი ვართ და ვამტკიცებთ, რომ რისხვამ სიმართლით აღნიშნა ბ-ნ ა. ებანოიძის სიტყვები.

**ა. კიკნაძე, ი. მახარაშვილი, პ. მეიფარიანი, ნ. თაბუკაშვილი, შ. ხარაძე.**


# განცხადებანი

## რად გინდათ

თქვენ თავს უსიამოვნება მიაყენოთ ან მეტი ფული გაიღოთ და გამოიწეროთ უნახავად საქონელი, როდესაც შეგიძლიანთ თქვენს გემოვნებაზე აარჩიოთ ჩვენი ფირმის ნიმუშების კოლექციიდან მაგარი და მეხაფერი საქონელი მამაკაცთა კოსტიუმებისათვის. კოლექციაში სხვა და სხვა ფერისა, ნახატის და ფასის მატერიებია.

### კოლექციები უფასოდ.

მოითხოვეთ ამ ადრესით: ქ. ლოძი, N 18, მაღეულობის ნაწარმოებთა ფაბრიკა **ა. კივმონისა.** (3—ფ.—3)

---

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ჟ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. სახებისა, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულაძე:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ნახ.ს. აკნისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1—2 ნახ. საათამ. საშვილოსნო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარცოშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—157)

# მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებში ნაჩვენებია მატარებლების ქალაქის დრო, ფრჩხილებს გარეშე ტფილისის.

### ტფილისიდან გადის

**ბათუმისაკენ:** 1) ჩქარი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

### ტფილისში მოდის

**ბათუმიდან:** 1) ჩქარი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.),
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის— საგარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

---

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი

## საკომერციო ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფილოიანისა.

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 24/1.

ასწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუღალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს, ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ანგარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას; 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.

**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**

**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 ენკენისთვიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის. პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ხალ.—5)

---




## ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერმოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—Б.—66)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე